82
3-734.

ს. ორჯონიკიძის სახელობის თ ე ლ ა ვ ი ს
სახელმწიფო

# თ ე ა ტ რ ი

ეთელ ლილიან ვოინიჩი

ვოინიჩი

# კ რ ა ზ ა ნ ა. I

96.787

ბიბლიოთეკა

## I მოქმედება

### I-ლი სურათი

არტურ — მამაო, მე ცოდვილი ვარ. იჭვით ბრაზით, უღირსი ფიქრებით აღსავსე იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც ჩემს წინააღმდეგ არავითარი სიავე არ ჩაუდენია.

მ. კარდი — ბოლომდე გამომიტყდი აღიარე ყოველივე, შვილო ჩემო.

არტური — მამაო, მე შემშურდა იმ ადამიანის, რომლის განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა უნდა მქონოდა.

მ.კარდი — როგორი კავშირი არის თქვენს შორის — ნათესაური.

არტური — უფრო მჭიდრო უფრო ძლიერი.

მ.კარდი — ესეიგი როგორი, შვილო ჩემო.

არტურ — მე მაკავშირებს მასთან ამხანაგური მოვალეობა.

მ.კარდი — ამხანაგური რაში.

არტურ — დიად და წმინდა საქმეში.

მ. კარდი — თქვენი სიძულვილი და შური ამხანაგისადმი გამოწვეულია მისი წარმატებით და გამარჯვებით არა.

არტურ — დიახ, რამოდენიმედ. მე შემშურდა მისი გამოცდილება, რისთვისაც მას აფასებენ, ამის გარდა მე ვფიქრობდი, მეშინოდა, რომ იგი წამართმევდა სიყვარულს იმ ქალწულისას, რომელიც მე მიყვარს.

მ.კარდი — ქალწული, რომელიც თქვენ გიყვართ ასულია წმინდა ეკლესიისა, არა.

არტურ — არა იგი პროტესტანტია. ჩვენ ერთად ვიზრდებოდით ჩვენი დედები მეგობრები იყვნენ. მე აღმძრა შური რადგან ვხედავდი, რომ მასაც უყვარდა იგი და კიდევ...

მ. კარდი — შვილო ნუ ინდომებ უფლის მოტყუებას... იცოდე, რომ ამ ცოდვას პატიება არა აქვს.

არტურ – მამაო, მე შემშურდა, ისა,რომ ახალგაზრდა იტალიის ორგანიზაციამ,რომელსაც მე ვეკუთვნი...

მ.კარდი – მერე...

არტურ – ორგანიზაციამ მიანდო მას ერთი საქმე,რომელსაც ვფიქრობდი მე დამაკისრებდნენ.

მ.კარდი – რა საქმე შვილო.

არტურ – წიგნების და იარაღის მიღება გემებიდან და აგრეთვე შესაფერი ბინის პოვნა მათ დასამალად.

მ.კარდი – და ეს საქმე კი ორგანიზაციამ თქვენს მეტოქეს მიანდო არა?

არტურ – დიახ,ბოლოს გადასცეს.

მ.კარდი – ბოლდას. შვილო ჩემო,თუ თქვენი სული გაასხივოსნა კეთილმა სინათლემ, თუ თქვენ შეერთდით განთავისუფლება მოუპოვოთ მათ ვინც ოხრავს და გოდებს,რათა თქვენი სულიც განიწმინდოს შურისაგან,გახსოვდეთ ეს დიადი მოვალეობა და თქვენი გული თავისუფალი უნდა იყოს, ბოროტ და მზაკვრული განზრახვებისაგან. ეს არის სახელითა უფლისა და ხალხისა აწ და მარადის

არტურ – უკუნითი უკუნისამდე ამენ თქვენ უნდა დაგვლოცოთ უფლის სახელით.ჩვენთან არის ქრისტე.

მ.კარდი – შვილო ჩემო ,ქრისტემ ჩარჩები განდევნა ტაძრიდან,რადგან სახლი მისი,არის სახლი ლოცვისა და არა ბუდე ავაზაკ-ქურდებისა.

არტურ – იტალიაც მისი ტაძარი იქნება,როდესაც გავდევნით ავსტრიელებს /მუსიკა მორჩა/

## II ს უ რ ა თ ი

არტურის ოთახი. ჩხრეკვის ნიშნები.

არტურ – იმმ!,როგორ გაბედეთ მოსვლა ?

ჯემმა – არაფერია,მე მხოლოდ ერთი წუთით.

არტურ – ასეთი გაუფრთხილებლობა?ამ სახლის გარშემო ჯაშუშები დაძრწიან.

ჯემმა – არაუშავს-რა მე,ხომ არავინ მიცნობს.

არტურ – პარტიის დავალებით ხომ არ მოხვედით?

ჯემმა – არა ჩემით... მეტად შეწუხებული ვართ ღვთის გულისათვის სთქვით რა წაიღეს გაჩხრეკის დროს თქვენ, არაფერ-არაფერი.

ჯემმა – არა მართლა ვერაფერი ვერ გიპოვნეს?

არტურ – არაფერი ისეთი... რამოდენიმე ნომერი "ახალგაზრდა იტალიისა" მაგრამ ეს ხომ ნახევრად ლეგალური ჟურნალია და სახიფათოც არაფერია.

ჯემმა – მისამართები? მიწერ-მოწერა ბინი და ბოლასთან, იარაღის გადაგზავნის შესახებ?.

არტურ – ჯიმმა, ისით...რა... მე ყოველთვის მიხარის თქვენი ნახვა მაგრამ დღეს... გამოგიტყდებით...როგორღაც მეშინია, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ არავის შეუმჩნევია თქვენი აქ მოსვლა?

ჯემმა – დამშვიდდით. გეუბნებით, რომ აქ ვერავინ მიცნობს. მიამბეთ, როგორ მოხდა, რად გაჩხრიკეს მხოლოდ თქვენი ბინა?.

არტურ – არ ვიცი ... არ მესმის.

ჯემმა – გამოგკითხეს რამე?.

არტურ – რა თქმა უნდა როგორც ეტყობა იარაღის შესახებ არაფერი იციან... მხოლოდ ბოლას სახელი სულ ენაზე ჰქონდათ.

ჯემმა – ბოლას სახელი? როგორ, განა ბოლას იცნობენ? მას იმას ხიფათი მოელის?

არტურ – ექვს გარეშეა, მაგრამ ეგრე რამ შეგაშინათ?

ჯემმა – ჩვენი საქმე უიმისოდ დაიღუპება, რას ამბობენ იმის შესახებ, რაიმე საბუთები აქვთ?.

არტურ –იმმ მაპატიეთ... მე ჯერ ახალგაზრდა ვარ იქნება უნდა მრცხვენოდეს კიდეც, მაგრამ გამოტყდით ჩემი დახვრეტა, რომ შეგეტყოთ ასე არ შეწუხდებოდით.

ჯემმა – ეს რას ნიშნავს... იჭვიანობთ?

არტურ – იჭვი? არა, – არ ვიცი ... ჩემს გულში კორიანტელია მე არ შემიძლიან აგიხსნათ... მაგრამ გეფიცებით, რომ მასში საზრახისი და სამარცხვინო არა არის რა. მე მგონია შიგ გადახლართულია რწმენა ღმერთისადმი და ის, რაც ძვირფასია ჩემთვის ქვეყანაზე გაალებული იდეა ბრძოლისა და საიდუმლოებისა სამუდამოთ გვაკავშირებს მე და თქვენ და აორკეტებს სიყვარულს მამა მონტანელთან, რომელიც ჩემთვის ისევე ძვირფასია, როგორც წსოვნა სამუდამოდ დაკარგული დედისა; თქვენ; მე და ის, არა! უთქვენოდ მე ვერც ვიცოცხლებ და ვერც ვიბრძოლებ.

ჯემმა – ბრძოლა და მამა მონტანელი? ის ხომ მღვდელია.

არტურ – მერე რა, თქვენ პარტიაში მღვდლებიც შედიან/მაგრამ ხალხის განთავისუფლებისა და ავსტრიელების განდევნასთან მათ არავითარი კავშირი არა აქვთ./
ისინი – ქრისტიანობის მქადაგებელნი არიან ქრისტე ხომ უდიდესი რეფორმატორი იყო.

ჯემმა – არა... არა არტურ. დაეხსენით სარწმუნოებას, დამიჯერეთ... მას არაფერი აქვს საერთო ჩვენს პარტიასთან დავანებოთ თავი ამ უადგილო კამათს. უმჯობესია დაწვრილებით მიამბოთ ყველაფერი რას გვკითხებოდნენ და რა აინტერესებდათ მათ უმთავრესად?.

არტურ – არა, ჯემმა, მომითმინეთ... მე მინდა თქვენ გაიგოთ, როგორ არ არის საჭირო რელიგია თავისუფლებისათვის მომზადებაა საჭირო. იტალია უკვე თავისუფალი იქნებოდა, რომ რისხვა და ვნება შეელოდეს საქმეს. საჭიროა არა სიძულვილი, არამედ სათნოება და სიყვარული.

ჯემმა – არა არტურ, მოთმინება კი გამბედაობა ბრძოლაა საჭირო. არა ფილოსოფია და ლოცვა არამედ ამხედრება. ოო, ღმერთო რა ბავშვები ვართ... გაჩხრეკვის შემდეგ ორ საათსაც არ გაუვლია და ჩვენ სარწმუნოებაზე ვკამათობთ. გავათავოდ მითხარით რას გვკითხებოდნენ ან თქვენ რატომ არ დაგაპატიმრეს.

არტურ - მეკითხებოდნენ ახალგაზრდა იტალიის ორგანიზაციის შესახებ, მხოლოდ ბინი და ბოლლა მათ ყველაზე უფრო აინტერესებდათ. ეტყობა მხოლოდ სახელები იციან და ჩემგან კი ნიშნების გაგება უნდოდათ.

ჯემმა - მერე?

არტურ - რა თქმა უნდა, რომ ჩემგან ვერა გაიგეს რა...

ჯემმა - და თქვენ მაინც თავისუფალი ხართ? ეს მეტად სასიამოვნოა, მაგრამ თანაც საკვირველი. ჩვენ ყველას სიფრთხილე გვმართებს უეჭველია კვალს მიაგნეს.

არტურ- ნუ გაგეცინებათ... მე ძალიან ვწუხვარ, რომ არ დამაპატიმრეს. დარწმუნდებოდით, რომ მე სანდო ვარ.

ჯემმა - პირიქით, თუ თქვენ ნამდვილად გწადიათ მუშაობა-სავალალო არა გაქვთ რა. იჭმუხნებით? მეტს აღარ გაგიჯავრდებით მივდივარ! გახსოვდეთ, რომ სიფრთხილე გვმართებს, ერთ კვირას მაინც ნუ მოხვალთ ჩვენსა. დაანებეთ თავი სათნოებას, სარწმუნოებას და მღვდლებს. ეს ჩვენი გზა არ არის. იყავით მხნე და თავდადებული. აი, რას ითხოვს ჩვენგან პარტია. დღეს თქვენ ერთი სიმართლე სთქვით თქვენი სულიერი ქაოსის შესახებ. მოითმინეთ და როგორმე ერთად გავერკვევით. მთავარი უბედურება-კი იმაშია რომ სახლში სცხოვრობთ.

არტურ - თქვენ გგონიათ, რომ იმათ რაიმე გავლენა აქვთ ჩემზე.

ჯემმა - მე-ვიცი, რომ ისინი თქვენ არ გიყვართ, მაგრამ მათი ვაჭრული მტვერით ხომ იწამლებით?
კარგია... დაღამდა... ვინ დაიჯერებს რომ ჩვენ აქ ვეძლეოდით პოლიტიკას და არა კლერსს.

არტურ - ჯემმა... მინდა გკითხოთ წეღან სარწმუნოებაზე ლაპარაკის დროს გყავდათ თუ არა მხედველობაში პადრე მონტანელი... ან მისი შეურაცყოფა?

ჯემმა – არა,არტურ, მე დიდი პატივისცემით და სიყვარულით უცქერი თქვენს სულიერ მამას.

არტურ – დიდათ მაამეთ და ბევრ ტანჯვასაც გადამარჩინეთ.ახლა. კი ისე გამინათლდა სული,თითქოს ღმერთმა უკვე ჩვენი ქორწინების დღე დღე დანიშნა.

ჯემმა – ნუ აჩქარდებით... მხოლოდ იცოდეთ,რომ მე თავისუფლების აჩრდილი კი არა ვარ,როგორც თქვენ ფიქრობთ,არამედ ნამდვილი ცოცხალი ადამიანი და ამ დღეებში უთქვენოდ უთუოდ მოვიწყენ.

არტურ – ქიმმ გამიგონეთ,რა უყავით ჩემს გულს.

მონტანელი–ხელი ხომ არ შეგიშალეთ.

არტურ – მამაო,თვით ღმერთმა მოგავლინათ.

მონტან – შვილებო, ნუ შესწყვეტთ ბაას–განაგრძეთ.მე დაგიცდი, ამისათვის საკმაო დრო მაქვს.

ჯემმა – არა... ნუ შესწუხდებით,მაინც დამიგვიანდა... დროა წავიდე იცის რაიმე გაჩხრეკვის შესახებ?.

არტურ – თუ არ იცის ვუამბობ მე მას არაფერს არ ვუმალავ.

ჯემმა – ამ საქმეში ვერაფერს გირჩევთ.მხოლოდ გახსოვდეთ:ერთი წინ–დაუხედავი,მოუფიქრებელი ნაბიჯი და დაიღუპება ჩვენი პარტია და მასთან იტალიის თავისუფლებაც.

არტურ – გადაეცით ამხანაგებს ჯემმა,რომ დამშვიდებით იყვნენ.როგორც არ უნდა მაწამონ ისეთს ვერას მათქმევინებენ–რაც ჩვენს საერთო საქმეს ავნებს.

ჯემმა – გახვამდის არტურ,იყავით მხნეთ... წინ გვიძევს ცხოვრება და ბრძოლა თავისუფლებისათვის.

არტურ – მართალია სული სავსეა იმედებით"სახელითა უფლისა და ხალხისა"

ჯემმა – ან და მარადის!

არტურ – მაპატიეთ მამაო,მომიტევეთ ზედმეტი აღტაცება,მაგრამ თქვენდამი სიყვარულის გამომჟღავნება ყოველთვის მახარებს.

მონტ -არა,სანთელს ნუ აანთებ არტურ აქ დაჯექ,ჩემთან .სამწუხარო ამბავი მაქვს სათქმელი შვილო.

არტურ – რა მოხდა მამაო? ხიფათი ხომ არ მოგელით.

მონტ – არ ვიცი რა დავარქვა შვილო ამას... ჩვენ უფრო ხანგრძლივი განშორება მოგველის,ვიდრე ვფიქრობდით.დღეს მივიღე წერილი ვატიკანიდან:ბრიზიგელას ეპისკოპოსად დაუნიშნივარ.შენი წაყვანა თან ეხლა არ შემიძლიან.ნუ გამომკითხავ რათა და რისთვის.

არტურ – ამ ქალაქში მე უთქვენოდ ვერ გავძლებ.აქ ვხედავ იმ ქუჩებს, საცა განსვენებული დედაჩემი ყიდულობდა ჩემთვის სათამაშოებს, მდინარის პირს,სადაც ყოველ დღე დავსეირნობდით და მერე ეს სასაფლაო... სადაც დედა მარხია.არა მე მარტო ვერ გავძლებ მამაო, რატომ სტირით? ჩემი ბრალია,ვინ იქნება ისეთი,რომ განიცადოს სხვისი ვარამი.

მონტ. – შენი ვარამი–ჩემი ვარამიცაა,არტურ.ჩვენ ხომ სიყვარული გვაერთებს.შენ თვითონ გითქვამს.ეს რაც შეეხება ჩემს რომში წასვლას.თუ გინდა,არტურ,მივწერ არ მოვდივარ–თქო

არტურ – კი მაგრამ ვატიკანი,მამაო?.

მონტ. – ვატიკანი იპოვის სხვა ვისმეს,შვილო ჩემო.

არტურ – ჩემმა სინდისმა უნდა ზღოს,თქვენი უარი ეპისკოპოსობაზე?

მონტ. – შვილო არტურ, რად მინდა ეპისკოპოსობა თუ შენ არ მეყოლებით? მოისმინე ჩემო ბავშვო.დღეს შენ დაპატიმრებას გადაურჩი აქ ჟანდარმები იყვნენ,ეს იმას ნიშნავს,რომ მომავალი შენი ცხოვრება სავსე იქნება მოულოდნელი ხიფათებით ვიდრე რამეს მეტყოდე, მინდა,გაიგო და სამუდამოდ დაიმახსოვრო:თუ შენ ჩაგითრია ამ მოძრაობაში და დაიღუპე.ჩემი გული ვერ აიტანს..მე მოვკვდები კარგად იფიქრე,ვიდრე თავის განწირვას გადაწყვეტდე.

არტურ – მერწმუნეთ,მამაო,ის რაც მე მხიბლავს ამ მიზნებში,სულ მალე თქვენთვისაც ჭეშმარიტებათ გახდება.მაშინ ჩვენ ერთად ვიბრძოლებთ და მოვუპოვებთ თავისუფლებას მათ,ვინც ფარულად ჰგოდებზ ამ საღმრთო დიდ საქმეს ჩვენ დავასრულებთ ქრისტეს სახელით.

მონტ – მითხარი არტურ,ნუ.თუ ისე ხარ გამსჭვალული ამ იდეებით რომ ვერ უარყოფ მათ?

არტურ –მამაო,ვერ მიმიხვდით... ეს მიზნები...

მონტ – მოითმინე.მიპასუხე მოკლეთ და მკაფიოთ: შეგიძლიაშ ჩამოშორდე ამ საქმეს... თუ არა? ვიდრე მიპასუხებდე.იფიქრე,არტურ?

არტურ – არ შემიძლიან.

მონტ. – თვით სიკვდილიც,რომ მელოდეს?

არტურ – ოო,მამაო,რა საჭიროა ეს წამება!

მონტ. – გეკითხები–სიკვდილსაც რომ მიქადდეს?

არტურ – მამაო,ის რასაც მე ვაკეთებ,მიმართულია ხალხის კეთილდღეობისა-კენ.იგი თვით ქრისტეს მიერ არის ნაანდერძევი.მე არასოდეს არ ვუარყოფ მას.

მონტ. – კარგი... კმარა... მაშ ყოველივე გათავდა მეტს ნუ ვილაპარაკებთ

არტურ – ნუ თუ ეხლა სამუდამოთ გაწყდა ჩვენი სულიერი კავშირი? ნუ თუ ისე შევცოდე,რომ მონანიებაც კი არ შეიძლება?

მონტ. – მე არაფერს გისაყვედურებ... ასეთია უთუოდ ნება უფლისა.

არტურ – თქვენ არ იცით მამაო,თუ რა რიგათ მეძნელება თქვენი მოშორება თქვენზე ახლობელი ადამიანი ქვეყანაზე არავინ მყავს თქვენდამი სიყვარული დედამ მიანდერძა.განა დამავიწყდება,თუ როგორის სიამით კითხულობდა იგი თქვენს წერილებს მამაო...

მონტ. – არა,არაფერია,ჩემო ბავშვო... ვილაპარაკოთ შენზე.ისეთ მტრულად გიცქერის შენი ნათესავის ცოლი?.

არტურ – დღითი დღე აუტანელი ხდება,ბრაზი და შური ამ ქალში დაუშრეტე-ლია.აქამდე ვერ მიმხვდარვარ,მე უფრო ვძულვარ თუ განსვენებული დედაჩემი ყოველ წუთს იმის ცდაშია,რომ შეურაცხყოფა მიაყენოს მე მის ხსოვნას.

მონტ — ჯემსი-მისი ქმარი,ამის ნებას აძლევს?

არტურ — მას თითქოს უნდა სამართლიანი იყოს... მაგრამ ხომ იცით იგი ბუნებით როგორ გულღვარძლიანია და ჯერაც ვერ უპატიებია მამისათვის ღარიბ მასწავლებელ ქალზე დაქორწინება.და დღიდან დედის გარდაცვალებისა-მთელი ბრაზი და შური ჩემზე გადმოიტანა.

მონტ. — შენ უთუოდ მკიცხავ,რომ აქამდე დაგტოვე ამ სახლში არა?

არტურ — არა,არა...

მონტ. — მე ეს ფიქრი არ მასვენებს...რომ შემეძლოს აგიხსნა განტიმარტო მოვა დრო... შენც სხვა გვარად იფიქრებ არტურ... აანთე სანთელი გამაცილე.

არტურ — მამაო,ხვალ ხომ ვნახავთ ერთმანეთს?.

მონტ. — უსათუოდ,ერთად გავატარებთ მთელ დღეს.მხოლოდ ეხლა მინდა გითხრა...ძალიან მიმძიმს...მეტად მაღონებს ჩემო ბავშვო... ეს უკანასკნელი დღეები. ლოდებივით მაწევს გულზე კიდევ ერთი და აღსრულდა...მეტს ვერ ავიტან,ეს უკანასკნელი ლოდი,გასჭყლეტს ამ საბრალო გულს და თბილი სისხლი,სისხლი ადამიანისა მადრევანივით გადმოიღვრება. გამაცილე შვილო...

იულია — წასვლას აპირებთ არტურ.ჩვენ მოველით მოსალაპარაკებლად, მეტად სასწრაფო და აუცილებელ საქმეზე.

არტურ — ეხლა ძალზე მოქანცული ვარ და ვერ შევძლებ სათანადო ყურადღებით მოვეპყრო საქმეს,ამიტომ გთხოვთ გადავდოთ დილისათვის.

იულია — ჩვენ უკვე კარგახანია ვიცდით... და არავითარი სურვილი არ მაქვს მისი ერთი წუთითაც გადადებისა.მისტერ ჯემსიც ეგრე ფიქრობს.

ჯემს — მე ჩემის მხრით...

იულია — ასე ფიქრობს.

არტურ — როგორც გნებავთ მე ამწუთში გეახლებით.

მონტ. –იმედი მაქვს,რომ ამ სხაბაასის დროს,მხედველობაში მიიღებთ არტურის დაღლილობას,სისუსტეს და უმიზეზოთ არ ააღელვებთ.

იულია – დახმარების სახით ვიღებთ და ვაძლევთ,ხოლო ოჯახურ საქმეებში.

ჯემს. – არტური განათლებულ ოჯახში ცხოვრობს და უნდა მოგახსენოთ თქვენი გაფრთხილება უადგილოა და კა-თო-ლი-კუ-რი.

არტურ – მამაო,ამ წიკინებისათვის დროს ნუ დაჰკარგავთ.

იულია – წიკინებისათვის,წიკინებისათვის! აი,ხომ ხედავთ სადამდი მიგიყვანათ თქვენმა თავდაბლობამ კათოლიკური ავანტიურისტის ნაძირალისადმი.იმასაც კი ვეღირსეთ,რომ გათავხედებული ხუცესი სახეში გვაფურთხებს ჩვენს საკუთარ სახლშივე.

ჯემს – ჩემო ჯარგო,მოგიწოდებთ მოთმინებასა და სიმშვიდისაკენ. ყოველ ჩვენგანს უნდა ახსოვდეს,რომ თავდაჭერილობა და მშვი-დობიანობა ჩვენი განათლებული საუკუნის მშვენებაა.

იულია – გაჩუმდით ერთი.მაგ თქვენი სიბრძნით რაღაც წიკინას დაემგზა-ვსეთ,რისთვისაც მთელი ქალაქი დაგცინით.

ჯემს – მე კი მეგობარო–მაინც მოგიწოდებთ რომ არტურთან საუბრის წინასწარ განზრახულ გეგმას ნუ გადავლახავთ.უნდა გახსოვდეთ ოჯახურ საიდუმლოების გამომჟღავნებისათვის პასუხს ჩვენ ვაგებთ.

იულია – არა ჩემო ძვირფასო თქვენ სალაპარაკო პირი არა გაქვთ, ან შეიძლება მიბრძანებ,რომ თქვენი ნათესავის ნამოქმედარისა-თვის მე ჩამსვან ციხეში.კმარა დღესვე გავაძევებ ამ უწმინ-დურებას... მე ვასწავლი მათ ჭკუას.

არტურ – გისმენთ.

ჯემს – არტურ,ჩემს მოვალეობას,ფრიად მძიმე მოვალეობათ კრაცხ გელაპარაკოთ თქვენს დაუშვებელ ყოფა–ქცევაზე თქვენს კავშირზე კანონის დამრღვევეებთან და სხვა საეჭვო ხალხთან თქვენის წყალობით ოჯახი გამეღანძღა,მე არ მინდა ვიყო მკაცრი, და ამისათვის მზად ვარ ვიფიქრო ,რომ თქვენ ასე გამოქმედებთ

არა გარყვნილება,არამედ სიმჩატე და დაუფიქრებლობა,რომელიც ვშიშობ დედისაგან გამოგყვავთ.

არტურ – თქვენ ლაპარაკი ისურვეთ ჩემთან არა?მეც გისმენთ.მხოლოდ გთხოვთ თავი შეიკავოთ დარიგებიდან და პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ.

ჯემს – საქმეზე;კეთილი,ინებეთ,შეუძლებლად მიმაჩნია სახლში ვიყოლიო ვიღაც ავაზაკი,რომელმაც მთელ საზოგადოებაში შებღალა ყველა-საგან პატივცემული ჩვენი ოჯახი.

არტურ – კეთილი,მესმის მე ხვალვე გადავალ თქვენგან და ვიმედოვნებთ, რომ არასდროს არ შევხვდებით ერთმანეთს,შემიძლიან საუბარი დასრულებულად ჩავთვალო არა?

იულია – როგორ მოგწონთ ა? ვინ მოგცათ ნება ასეთი კილოთი გველაპარაკოთ? ის არ იკმარეთ,რომ თქვენსა და დედათქვენხს წყალობით მთელს ქალაქში თავი მოგვჭერით და ეხლა კიდევ შეურაცყოფასაც გვაყენებთ?

ჯემს – ჩემო კარგო–მოგიწოდებთ სიმშვიდისაკენ.ჩვენს უგანათლებულეს საუკუნეში ასეთი ამბები...

იულია – არა არა დაე იცოდეს თუ ვინ იყო დედამისი.ბოლოს და ბოლოს მომბეზრდა ამ კათოლიკე მღვდლის შვილის ძიძაობა.

არტურ – რა სთქვით?

იულია – ისა,რომ მღვდელი,რომელიც წმინდანი გგონიათ,დედათქვენის საყვარელი იყო და თქვენ კი მათი უკანონო შვილი. ვფიქრობ საამაყოთ არა გაქვთ რა.

არტურ – აურზაურის თავი არა მაქვს,მაგრამ არ შემიძლიან არ გითხრათ, რომ უსაზიზღრესი და უსაძაგლესიქმნილებანი ხართ ეხლა კი გთხოვთ დამტოვოთ მარტო.

იულია – რაო რაო?! ესღა გვაკლდა! საკუთარი სახლიდანვე გვაძევებთ?...

ჯემს – თქვენ მართლაც საზღვარს გადასცდით,არტურ,მე არ მინდა ამ სამარცხვინო საიდუმლოს გახმაურება... მაგრამ იძულებული ვარ დავადასტურო,ის რაც მოგახსენეთ ჩემმა საყვარელმა მეუღლემ დიახ, თქვენა ხართ შვილი მღვდელი მონტანელისა,რომელიც დედა თქვენის საყვარელი იყო.

არტურ – თქვენ ადამიანები კი არა ჯოჯოხეთის ქმნილებანი ხართ.რაში გინდათ დამარწმუნოთ?.

იულია – უსაყვედუროთ დედათქვენს,ხოლო დაწვრილებითი ამბები გამოჰკითხეთ თქვენს წმინდა მამას.ჩვენ გავათავეთ წავიდეთ ჯემს.

არტურ – მოითმინეთ თქვენ გინდათ დამარწმუნოთ,რომ ადამიანი,რომელიც ღმერთივით მწამს ცრუ არის? როგორ! დედაჩემი სირცხვილსა და დამცირებაში მოჰკვდა და მამაჩემმა კი ჩემი შვილად აღიარება ვერ შესძლო? არა,ამას ვერ დავიჯერებ.

იულია – ჯემს აჩვენეთ ის წერილი,სადაც თავის საყვარელთან ერთად პატიე-ბას სთხოვს მამათქვენს.ეს უფრო დამარწმუნებელი იქნება და გაათავეთ ეს საზიზღარი ამბავი.მე ზევით დაგიცდით.

ჯემს – ძალიან მეძნელება,მაგრამ უნდა ბოლომდე გაგიმჟღავნოთ ყოველივე წარმოიდგინეთ... მამაჩემი იმდენად კეთილშობილი იყო...

არტურ –სად არის წერილი?.

ჯემს – იმდენად კეთილშობილი იყო მეთქი,რომ დედათქვენს მაინც არ გაეყარა.მან მოითხოვა...

არტურ – მაჩვენეთ წერილი.

ჯემს – ინებეთ მან მოითხოვა მხოლოდ,რომ შემცდენს იტალია დაეტოვე-ბინა და როგორც მოგეხსენებათ მონტანელი მისიონერად წავიდა ჩინეთში. ეს ყველაფერი ძალიან სამწუხაროა,მაგრამ... როგორ თქვენ ეს სასაცილოდ მიგაჩნიათ? მანცვიფრებს თქვენი ქარაფშუტობა ამ პირობებში ლაპარაკი შეუძლებლად მიმაჩნია,გთხოვთ ხვალ ამოხვიდეთ ჩემთან. ღამენებისა.

არტურ - ჯემმა, თვით განგებამ მოგავლინათ... თქვენ უნდა მიშველოთ, მე გონებას ვკარგავ... მიშველეთ...

ჯემმა - როგორ, განა უკვე იცით?

არტურ - ჩვენ ერთად ვიქნებით-არა ჯემმა? გავა დრო და ჩემს თავს დავძლევ, მაგრამ ამ საზარელ დღეებში... ნუ მიმატოვებთ.

ჯემმა - დამშვიდდით არტურ. ბოლლა შეცდომაში შეიყვანეს. ჩვენ გვწამს რომ ამ დაპატიმრებაში თქვენ ბრალი არა გაქვთ.

არტურ - ვის დაპატიმრებაში?

ჯემმა - როგორ? მაშ თქვენ არც კი იცით? ბინი, ბოლლა და მთელი კომიტეტი დააპატიმრეს. ბოლლამ ბარათის გადმოცემა მოასწრო, სადაც თქვენა გდებთ ბრალს. მაგრამ ღვთის გულისათვის დამშვიდდით... არტურ, ჩვენ გვჯერა ეს გაუგებრობაა.

არტურ - არა გამეგება რა... ეს საშინელი სიზმარია...

ჯემმა - გემუდარებით, ნუ ღელავთ, არტურ ჩვენ უნდა გავმხსნევდეთ მე და თქვენა ვართ მხოლოდ თავისუფალი, მთელი კომიტეტი შეპყრობილია ჟანდარმებმა გემსა და იარაღს მიაგნეს.

არტურ - იარაღი? გემი?.

ჯემმა - ბოლლა თავის წერილში თქვენა გდებთ ბრალს. ჩვენ დავარწმუნებთ მას თქვენს უდანაშაულობაში.

არტურ - ააა! აღსარება! ჯემმა, ბოლლა მართლია... მე, მე უამბე ყველაფერი მას... ყველაფერი...

ჯემმა - რაო? რა სთქვით?

არტურ - მე დავასახელე ყველა ჩვენი ამხანაგები, როგორ წარმოვიდგენდი... რომ იცოდეთ, ჯემმა...

ჯემმა - თქვენ, თქვენ ჩაიდინეთ ეს?

არტურ - მე უთხარი ყველაფერი აღსარების დროს, მაგრამ რომ იცოდეთ... ა... ნუ მიცქერით ეგრე... ჯემმა... შენ მომატყუეს... ღმერთო ჩემო, ასე უბრალოდ... მე კი ძვირფასო დედა... რამდენი წამება... მიყვარხარ ისე, როგორც არასოდეს.

ფ ა რ დ ა.

პირველი მოქმედება მიდის 30 წუთი.

## III სურათი

გარასინი – ბატონებო,ბატონებო,გთხოვთ მოისმინოთ.

გ ა ლ ლ ი – კარგით,ნუღარ გვაცინებთ თქვენი პეტიციებით.

გარასინი – თქვენ,რომ ყური გიგდოთ,ალბად გვირჩევთ დანებით შევიარაღდეთ,ან და ავაზაკების გუნდი შევკრიბოთ,არა?

ნიკარდო – ბრძოლის საუკეთესო საშუალება სატირა და პამფლეტია, ამისათვის სატირის მწერლებია საჭირო,ჩვენ კი ამ დარგში მოცეკვავე სპილოებს დავემსგავსებით.

მარტინი – მე მგონი ბატონებო,რომ ეს საკითხი გადაწყვეტილია,ასეთი პოეტი ნაპოვნია–ეს გახლავთ ფელიჩე რივარეს.აი მე ხელთა მაქვს მისი პირველი პამფლეტი.

ჯემმა

გრასინი– მე ვიცნობ...რივარეს მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ,მხოლოდ ცუდის მხრით.

მარტინი – მე დარწმუნებული ვარ,თქვენ ყველანი იცნობთ მას უფრო უკეთ,ვიდრე გგონიათ.ფელიჩე რივარეს ცნობილია"კრაზანას" სახელწოდებით.საარაკო სიყვარული და პოპულარობა აქვს მოპოვებული აპენინის კონტრაბანდისტთა შორის.

გალლი – როგორ,ეს ის –"კრაზანაჰ",რომელზედაც მთელი იტალია ლაპარაკობს.

რიკარდო – დიახ"კრაზანა"ვინ არ იცნობს ის მიურატის,ერთი რაზმელთაგანია აგერ უკვე სამი წელიწადია,რაც აპენინებში დასტოვა.

გრასინი – სამწუხაროდ,გაგონილი მაქვს,რომ იგი მხოლოდ თავზე ხელაღებული ავანტურისტია.

გალლი – ეგ რომ მთიულებთან წამოგცდეთ,იქვე გაგათავებენ ბევრი მსმენია"კრაზანა"ს შესახებ მის ვაჟკაცობა–მოგონება მახვილობაზე საარაკო ამბები გამიგონია თურმე ისეთი ოინით და სიმარდით დაახწევს თავს ყოველგვარ ხიფათს ან ჟანდარმების კლანჭებს,რომ ...

რიკარდო -და საკირველი სწორედ ის არის,რომ განსაკუთრებული ნიშნების მქონეა:კოჭლი,სახეზე ხმალის ნაკვალევი,ენა ბლუ და ხელზე რამოდენიმე ტითიც აკლია.

ჯემმა - კოჭლი და ენაბლუ? ნუთუ ასეთი განსაკუთრებული ნიშნების მქონე აქამდე გადაურჩა ჟანდარმებს?.

გალლი - თუმცა მთელი იტალია იმაზე ლაპარაკობს,მაგრამ მე მაინც არ ვიცი დანამდვილებით: ვინ არის ან სადაურია.

რიკარდო - დიუპრე და მარტელის ექსპედიციას ჩამოყვა სამხრეთ ამერიკიდან თურმე იქ არგენტინის რესპუბლიკისათვის იბრძოდა.შემდეგ ტყვეთ წაუყვანიათ,მაგრამ ტყვეობიდანაც დაუხწევია თავი.

გრასინი - მე ვაძლევ ჩემს თავს ნებას გავიმეორო,რომ ძალიან საეჭვო წარსულის მქონეა.დიუპრეს ექსპედიციას ნახევრად გავე-ლურებული იგი უპოვნია სამხრეთ ამერიკაში მან თურმე იმის ახსნაც კი ვერ შესძლო,როგორ მოვიდა ამ ყოფამდე.რაც შეეხება აპენინის აჯანყებაში მონაწილეობას,პირდაპირ გამინებსჭთუ ჩემი აზრი გაინტერესებთ,მე დაჟინებით მოვითხოვ,ამ მოუსვენარ და საეჭვო კაცთან საერთოს ნურას ვიქონიებთ.

გალლი - რა აზრისაა სინიორ მარტინი .

მარტინი - ჩვენი უახლოესი ამოცანების მოსაგვარებლად რივარესზე უკეთეს კაცს ჩვენ ვერ მიპოვნით და ჩემის აზრით უმჯობესია ავარჩიოთ ვინმე მასთან ამ პამფლეტის შესახებ მოსალაპარაკებლად. ლიტერატურული საბჭო,სინიორა ბოლლას გამოკლებით იმ აზრისაა,რომ შესწორდეს იმ ადგილები,სადაც ზომაზე მეტ სიმკაცრეს და გამომწვევ კილოს აქვს ადგილი.

რიკარდო - მაშ რაღას ვაყოვნებთ,ავირჩიოთ დეპუტაცია.

მარტინი - მე კი თქვენ გასახელებთ სინიორ რიკარდოს.

რიკარდო - მე მგონია,სინიორა ბოლლა,საუკეთესოდ შეასრულებს ამ ამოცანას.

ბოლლა - კი,მაგრამ ხომ გახსოვს,მე ერთი ვიყავი მომხრე,რივარესის პამფლეტის უცვლელად დატოვებისა.

რიკარდო- – თქვენი პირადი მოსაზრება,ხელს არ უნდა გვიშლიდეთ საბჭოს ნების აღსრულებაში,ხოლო თქვენზე უკეთ ვერავინ დააჯერებს და დაარწმუნებს მას შესწორების აუცილებლობაში.მით უმეტეს თქვენ,როგორც ქალი,დაფარული იქნებით რივარესის სარკასტიულ იერიშებისაშან.

ბილა – ჰო მაგრამ,მე მას არ ვიცნობ,არასოდეს არ მინახავს.

გრასინი – ამ სამწუხარო ტურვილს სულ რამოდენიმე წუთში აგისრულებს, ჩემი მეუღლის განსაკუთრებულმა მიდრეკილებამ სახელგანთქმული ხალხის გაცნობისა,ჩემდა უნებლიეთ რივარესი დღევანდელ სადილზე მომაწვევინა.სადაა უნდა მოვიდეს.

მარტინი – ინებეთ ხელთნაწერი დარწმუნებული ვარ,რივარესს დაითანხმებთ.

ბილა – რა გაეწყობა ცდა ბედის მონახევრეაო მეეჩვება-კი.

გაალი – რაკი საქმეს მოვრჩით,შეუერთდეთ დანარჩენ სტუმრებს,თორემ სინიორ გარსანის გონება მახვილი გამოგონება,ჩვენი სხდომე-ბისსაოჯახო კონცერტებით დაფარვისა გამომჟღავნება.

რიკარდო – კეთილი,კონცერტის დაწყება იყოს ნიშანი სხდომის გაგრძელებისა ტოსკანას შიმშილობის საკითხია განსახილველი,მგონი ამ საკითხს მთელი ღამე მოვანდომოთ სინიორ გარასინი,თქვენ ფიქრობთ,რომ "კრაზანა" უკვე აქ იქნება?.

გრასინი – უთუოდ,ეხლავ გავიგებ.

გალლი – ნუ თუ პირის-პირ ვნახავ ახლა იმ ჟაცს.დამიჯერებთ. აღელვებისაგან სულ ერთიანად ვკანკალებ.

რიკარდო – გამოგიტყდებით არც მე ვარ დამშვიდებული იმდენი საარაკო ამბები მსმენია იმის შესახებ...

გრასინი – მეგობრებო,მეგობრებო დარბაზში ყველანი ერთად ნუ გავალთ თორემ იჭვს აღვძრავთ.

მარტინი – ხომ არ მიჯავრდებით მეგობრობა რომ დაგირღვიეთ.

ბილა – რაღა თქმა უნდა რომ არა საზეიმო სამზადისს უცქერი.ყველა ეს ამბები მონატანელის ჩამოსვლითა გამოწვეული?.

ბოლა –კარგა ხანია ვსდუმვარ განა შეგიძლიათ მისაყვედუროთ,რომ ჩემს თავს ვერ უმკლავდები? მაგრამ აი დღეს მონტანელის ჩამოსვლამ განაახლა ძველი იარები და ჩემს სულში ჯოჯოხეთის ცეცხლი დაანთო.

მარტინი – მთელი ეს საღამო გემჩნეოდათ მღელვარება.მე მივხვდი მიზეზს და შემცდარვარ.

ბოლა – ო,ჩეზარე! თქვენ რომ გენახათ მისი სახე,არტურის სიკვდილის მეორე დღეს... თვალწინ მედგა კიდევ მრავალ წელს,ისე როგორც ეხლა თქვენი სახე... მახსოვს,უთხარი:"მე მოვკალი მეთქი არტური", მან კი მიპასუხა" დამშვიდდით ჩემო ბავშვო, თქვენ კი არა მე ვარ მისი მკვლელი,ვატყუებდი და მან ეს შეიტყო"მაჩვენა არტურის წერილი:"როგორც ღმერთი ისე გიწამეთ... თქვენი მთელი სიცოცხლე თურმე მატყუებდით."

მარტინი – კი მაგრამ... რა ჰქონდათ საერთო?.

ბოლა – ის,იყო მისი სულიერი მამა.მათ ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი, არტური აღმერთებდა მონტანელის ნაკვალევსაც კი... და არასოდეს არ მოსვლია აზრად...

მარტინი – რა?.

ბოლა – თქვენ გაგიკვირდებათ...მაგრამ მათ შორის იყო საშინელი მსგავსება.

მარტინი – მას,შემდეგ 14 წელმა განვლო არავის ძალუძს წარსულის გასწორება...უნაყოფო გოდება.შეიბრალეთ თქვენი თავი, დაივიწყეთ ყოველივე.

ბოლა – ახ,რომ შემეძლოს გასწორება... გათავდა 14-წლიწადი ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა ისეთი ღამე,რომ საბრალო არტურის სიკვდილი არ განეცადოს.საბრალო ბავშვი,ის ისეთი მორწმუნე იყო... ის გამოტყდა აღსარების დროს მღვდელს და მღვდელი კი... ოო... საშინელებაა....

მარტინი – ჩემო ძვირფასო...

ბოლა – ჩეზარე,ის ისეთი ახალგაზრდა იყო,როგორ სწყურდა სიცოცხლე,

ბრძოლა... რისთვის მო ვკალი...

მარტინი -საზარელი ამბავია,ვერას უშველით..."დე,მკვდრებმა დაიტირონ მიცვალებულნი"მოიგონეთ რას ამბობს ჩვენი საყვარელი შელლი "სიკვდილის წარსული-შენ კი მომავალიო"

ბოლლა - გესმით,მოჰყავთ.

მარტინი - აქედან რას დაინახავთ.

ბოლლა - როგორ აღტაცებულია ხალხი...როგორ უყვართ იგი...

მარტინი - დიახ,მეტად პოპულარულია. კარგი მქადაგებელია,მის უბიწო ცხოვრებას მტრებიც კი არ უარყოფენ./წრე ბრუნავს/

რიკარდო-როგორ გეტყობათ თქვენ გარბიხართ სინიორა გრასინის და მის წარჩინებულ სტუმრებს,რივარესმა იცით,რივარესი აქ არის.

მარტინი - თო,ის უკვე აქ არის?.

რიკარდო- წარმოიდგინეთ ის მოვიდა თავის საყვარელით,მოცეკვავე ზიტა რენით,რომელსაც თურმე ყველგან თან დაატარებს.

მარტინი -როგორ გრასინის ოჯახში მოიყვანა? რას ამბობენ ამის შესახებ?.

რიკარდო -ო,დიდი მითქმა.მოთქმა,ცნობილთა შორის ჩურჩული დაჯგუფებად დაყოფა.სხვათა შორის გაგვაცნო,როგორც თავისი გაუთხოვარი ნათესავი,მაგრამ ცხადია...

მარტინი - როგორ იქცევა?.

რიკარდი-არავის ყურადღებას არ აქცევს სულ ფანჯარასთან დგას და მონტანელის გავლას უცდის.

ბოლლა - თუ ამ ხალხს პატივს არა სცემს,უარი უნდა ეთქვა აქ მოსვლაზე.

რიკარდო - სხვათაშორის გამოსთქვა სურვილი თქვენი გაცნობისა... და ეხლა ის და სინიორა გრასინი დაგეძებენ აი,უკვე აღმოაჩინეს თქვენი საფარი....მოდიან.

მარტინი - თუ ასეა,ჩავიდეთ აქედან.

ბოლლა = მეც ვერა ვარ განწყობილი საქმიან საუბრისათვის...

რივარესი–თუ ინგლისელია,იტალიური გვარი რაღად აქვს? როგორ
ბრძანეთ... მოლლა?.

გრასინი – დიახ,უბედური ჯიოვანი ბოლლას ქვრივი გახლავთ,
რომელიც ოთხიოდ წლის წინად ინგლისში გარდაიცვალა შეიძლება
იცნობდით კიდეც,მაგრამ თქვენ ხომ მოხეტიალე ცხოვრებას
ეწევით და საიდან გეცოდინებათ ჩვენი მრავალტანჯული
სამშობლოს მრავალი მსხვერპლი.

რივარეს – ინგლისში მოკვდა? მაშ ემიგრანტი ყოფილა.

გრასინი – დიახ,ის მუშაობდა "ახალგაზრდა იტალიის ორგანიზაციაში".
ორჯერ დაიჭირეს...უკანასკნელად კი ინგლისში გაიქცა-
იქვე იქორწინა ახ,ეს რომანტიული ამბავია,საწყალი ბოოლაც
მეტად რომანტიკოსი იყო...აი,ისიც,საკვირველია სად დაკა-
რგეთ სინიორა ბოლლა.ხინიორ რივარესს სურს თქვენი გაცნობა.

რივარეს –თქვენ შესანიშნავი კუნჭული აგირჩევიათ გაკლიათ მხოლოდ
ლურჯი ცა,მოკამკამე მთვარე და ბულბულის სტვენა განთიადზე.

გრასინი – არა... ეს მხოლოდ უილაჯო მიბაძვაა ჩვენი შეუდარებელი
ბუნებისა.იტალია სამოთხის ბაღაია,მაგრამ ეს ლურჯი ცა
და სურნელოვანი ყვავილები,დამონებულნი არიან.

რივარეს – და მასთან ერთად,თქვენებურ შეუდარებელი მამულის
შვილებიც.

გრასინი– ოხ,სინიორ... რა რიგ მინდა დავამტკიცო,რომ ღირსი ვარ
ვატარო იტალიელის სახელი. ეხლა კი მაპატიეთ დიახ
ლისის მოვალეობას მოვალეობას დაუბრუნდები.საფრანგეთის
ელჩმა მთხოვა გამეცნო მისი აღზრდისათვის წარჩინებული
სტუმრები.ძვირფასო ჯემმა–სინიორ რივარესს თქვენ გაბარებთ.

რივარეს – ხა,ხა,ხა,შეხედეთ,როგორ ხელიხელ გაყრილი მიდის იტალიური და
რუსული პატრიოტიზმი.ორივე კმაყოფილია ერთმანეთის თქვენ
რომელი უფრო მოგწონთ?მე მგონია რუსეთის პატრიოტიზმი
სჯობია,მას ბოლომდის მიჰყავს თავისი საქმე.

ბოლლა – რაკი პასუხს მთხოვთ...ინებეთ,ჩემის აზრით სირცხვილია რომ ადამიანის ბონებრივი უსუსურობა სასაცილო საგნად გახადოთ.ეს უდრის იმას,რომ დასცინით კოჭლს ან...

რივარეს – შედარება ვერ არის მოსწრებული ჩვენ ჩვენის კოჭლობით არ ვეწრებით ყველგან.ყოველ შემთხვევაში უნდა დამეთანხმოთ, რომ ჩვენ მუდამ გვესმის,რომ მრუდე სული ვერაფრით ვერ სჯობია მრუდე სხეულს.

ბოლლა – იმედი მაქვს დამიჯერებთ,სინიორ რივარეს,რომ მხედველობაში არ მქონდა...

რივარეს – ჩემი მრუდე სხეული ო... მომეცით ნება გაგანთავისუფლოთ ბოდიშისაგან.

ბოლლა – თქვენ უთუოდ გაგიკვირდებათ,რომ ჩვენ არც კი ვიცნობთ ერთმანეთს საკმაოდ და მე უკვე საქმე მაქვს თქვენთან.

რივარეს –მიმსახურეთ სინიორა...

ბოლლა – საკითხი შეეხება თქვენს პამფლეტს...ზოგიერთი ამხანაგების აზრით იგი მეტად გამომწვევია და...

რივარეს – მე ეს წინადვე ვიცოდი.

ბოლლა – როგორც ლიტერატურული ნაწარმოებით კი აღტაცებულ არიან.

რივარეს „ როგორცლიტერატურული ნაწარმოები ჩემი პამფლეტი [illegible]ვითარ ღირებულებას არ წარმოადგენს ის მოეწონება მხოლოდ უვიცს და თუ ვისმეს შეურაცხოფს სწორედ ეს იყო მისი დანიშნულე-ბაც.

ბოლლა – მესმის,მაგრამ,საქმე იმაშია,რომ თქვენი ყუმბარა ხვდება არა იმას ვისაც უმიზნებთ.

რივარეს – არ მესმის მე უმიზნებ მღვდელს,სარწმუნებას და მგონია მიზანს არ ვაცილებ.

ბოლლა – ჩვენი კომიტეტი ფიქრობს,რომ თქვენი პამფლეტი შეურაცხოფს ლიბერალურ პარტიას,ეს კი დააფრთხობს ქალაქის მუშებს-მკითხ-ველი იფიქრებს,რომ ახალ პაპსაც ვებრძვით.

რივარეს – ვიშიშობ სინიორა, რომ თქვენი კომიტეტი ამ წვრილ ამბე-ბით დაბანდდება და მთავარ ფიგურას აცდენს ნასროლს.

ბოლლა – მთავარ ფიგურას! რომელს?

რივარეს – მონ სინიორ მონტანელს!

ბოლლა – მონტანელს? არ მესმის, თქვენ ბრიზიგელას ეპისკოპოსზე ლაპარაკობს?

რივარეს – დიახ, ახალმა პაპმა, როგორც იცით, ახალახანდანიშნა ის კარდინალად აი წერილი მეგობარი მატყობინებს საზღვარს იქიდან..."თქვენ მალე გექნებათ სიამოვნება იხილეთ ჩვენი დაუძინებელი მტერთაგანი ბრიზიგელას ეპისკოპოსი კარდინალი ლორენცო მონტანელი ამ თვეში წამოვა ფლორენციაში. იეზუი-ტების მიერ დავალებული აქვს საინტერესო მისია. განზრახვაა, რაც შეიძლება გააძლიეროს ის აღფრთოვანება, რომელიც გამოწვეულია ახალი პაპის არჩევით გაართოს საზოგადოებრივი ყურადღება, ვიდრე დიდი პეწცოგი იეზუიტების მიერ შედგენილ პროექტზე ხელს არ მოაწერს, რას იტყვით ამის შესახებ?

ბოლლა – დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი კორესპოდენტი არსცდება? მე დიდი ხანია ვიცნობ მონტანელს და არა მგონია აშეთი უმსგავსობის ჩამდენი იყვეს.

რივარეს – თუ მონტანელი თვით არ არის არამზადა-იგი იარაღია არამზადების ხელში. ჩემთვის სულ ერთია, თუ გზაზე დევს ქვა ხელის შემშლელი იგი უნდა მოიშორო. მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ პამფლეტს, როგორ გგონიათ, სინიორა, ეს ცვლილება მას არ შეუნელებს ძალას ან ლიტერატურულ ეფექტს არ დაუკარგავს.

ბოლლა – თქვენ მეკითხებით ჩემს პირად შეხედულებას? მე კი გელაპარაკებით კომიტეტის დავალებით.

რივარეს – ამ პასუხიდან შეიძლება დასკვნა, რომ თქვენი და კომიტეტის აზრი ამ პამფლეტის შესახებ განსხვავდებიან.

ბოლლა – დიახ, მე ვფიქრობ თქვენი პამფლეტი არავითარ შესწორებას არ საჭიროებს.

რივარეს – ძალიან კარგი,მაგრამ მაინც გთხოვთ სინიორა,გადასცეთ კომიტეტს...რას უცქერით ასე ჩემს ხელებს?.

ბოლლა – ეს ყვავილების წიწკანა ვიღაცას მაგონებს.

რივარეს – გთხოვთ გადასცეთ კომიტეტს,რომ მე თანახმა ვარ შევიტანო პამფლეტში ყოველგვარი შესწორება იმ პირობით, თუ კარდინალ მონტანელისადმი არ შემოვზღუდავთ დაცინვის უფლებას.

ბოლლა –ნუ თუ ასე გეჯავრებათ.შეიძლება იფიქროს კაცმა,რომ ის თქვენი მოსისხლე მტერია.

რივარეს – ძალიან მეჯავრება,მაგრამ მე მაგაზე საშინელი მტერიც მყავს.

ბოლლა – შეიძლება გკითხოთ ვინ არის?

რივარეს – სარწმუნოება.

რიკარდო – სინიორა ბოლლა,მასპინძელმა გამომგზავნა,ითხოვს თქვენს შველას და დახმარებას წარჩინებული სტუმრები წასვლას აპირებენ.

ბოლლა – ისე ცუდათ ვგრძნობ თავს,რომ არაფრის უნარი არა მაქვს, სინიორა გრასინი თვით შესძლებს.

რიკარდო– თქვენ კი სინიორ რივარეს,ჩვენი გალლი ქურდოგლეჯილი დაგე–ძებთ ათი წუთი ესაუბრეთ,მაგრამ სამუდამო მეგობარი შეიძინეთ.

რივარეს – საკვირველია,მით უმეტეს,რომ აქამდე მხოლოდ მტრების შეძენა მეხერხებოდა.

რიკარდო –რა მოგახსენოთ,გალლი კი პირდაპირ მეყვარებულია.

რივარეს – ყველა ჩემი მტრები ამით იწყებდნენ.

გრასინი – მეგობრებო,კონცერტი დაიწყო და ჩვენც შეუდგეთ სხდომასმე აქა მაქვს სტატისტიკური მასალები,რომლებიც დაგვეხმარება საკითხის გამორკვევაში.

მარტინი–სინიორა ბოლლა,მე არ ვკითხულობ თქვენიმისიის შედეგს, რადგან დარწმუნებული ვარ გაიმარჯვებდით.

ბილლა -დიახ,ჩვენ თითქმის შევთანხმდით.

გალლი -ბატონებო,რაკი ბედნიერ შემთხვევამ სინიორ რივარესი აქ მოიყვანა,ვფიქრობ ამ სხდომაზეც დაგვესწრება.

გრასინი -რმთა თქმა უნდა! სინიორ რივარეს,ჩვენ ყველანი მოხარული ვიქნებით.

რიკარდო -სნიორ რივარეს! რა მოუვიდა,რამ გაიტაცა?

გრასინი -ეს რა ხმაურია ქუჩაში? თუ ასე გაგრძელდება ჩვენ ვერ ვიმუშავებთ.

რიკარდო - ჯამბაზებია,ძალიან თავშესაქცევი სანახაობა...წრე/

მარტინი -რა ამბავია...არლეკინები,არაბები,ჯამბაზები.

რიკარდო -რა ეშხიანია კოლომბინა,მეტად შვენის ბრჭყვიალა მორთულობა. ახლო კი საშინელი სანახავია.ჰეი,ბრბოში.რომ კუზიანი დაგორავს.

გალლი -სცემენ-ეორიჯებიან,ნუ თუ ეს ართობთ?

რიკარდო -შეხედეთ ტალახში ჩააგდეს რა საზიზღარი ხუმრობაა.

ბილლა -სინიორ რივარეს,ცუდათ ხომ არა ხართ? ღმერთო...რა მოგდით...

რიკარდო- ხუმრობაა.

გრასინი- ბატონებო,მობრძანდით დაბრძანდით,შეუდგეთ საქმეს.ვიდრე სტატისტიკური ცნობების განხილვას შეუდგებოდეთ,სასარგებლო იქნება ამ საქმის შესახებ პირადი დაკვირვება გაგვიზიარონ. დავიწყოთ თუნდაც,სინიორ რივარესიდან.

რივარეს- გთხოვთ გამანთავისუფლოთ მე ეხლავე უნდა წავიდე

რიკარდო- სინიორ რივარეს,დიდხანს არ დაგაკავებთ,ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია.

გალლი - თქვენ ყველაზედ მეტს გვეტყვით,რადგან ტოსკანიას ზედმიწევნით იცნობთ,ამით ყველანი დაინტერესებული ვართ.

რივარეს - ჩემს გარდა.

გრასინი - როგორ? თქვენ არა გსურთ დარჩეთ? გვიბრძანეთ მიზეზი?

რივარეს - ჯამბაზობას ქუჩაშიც საკმაოდ უძძრე

გრასინი - როგორ გვიბრძანებთ,რომ გავიგოთ?

რივარეს - ჭკუისა და ნიჭის მიხედვით ნუ აბნევთ თქვენს სტატისტიკას, თორემ ტოსკანელები მართლაც სიმშილით ამოწყდებიან.

მარტინი – სინიორ, გთხოვთ შეწყვიტოთ უადგილო ხუმრობა. ჩვენ აქ სამასხაროდ არ შევკრებილვართ. შიმშილობის საკითხი მწვავე საკითხია და შეძლებისამებრ ვარკვევთ თუ თქვენ რამე განსაკუთრებული შეხედულება გაქვთ ამ საკითხზე ყოველგვარი ოინბაზობის გარეშე სთქვით, ისე, ვით შეფერის დინჯ ადამიანს.

რივარეს – უადგილო ხუმრობა და ოინბაზობა? მოგახსენებთ სინიორ, რომ უფრო უღირს და შეუსაბამო ხუმრობათ მიმაჩნია რევოლუციის გათამაშება კონცერტსა და ვახშმის შუა. მე თუ პამფლეტებს გიწერთ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნებას მოგცემთ ქაღალდე-ბის მტვერით დამახრჩოთ. მე წავალ რევოლუციის სამშენებლად მთებში, სუფთა ჰაერზე სად შემიძლია მე ჩემი ოინბაზური საქციელით მივწვდე თქვენს რაინდულ სულს თქვენის აზრით იტალია-მიჯაჭვული პრომეთეა, რომელიც დღეს თუ ხვალ თავის ხუნდებს დაამსხვრევს. ჩემის აზრით კი თქვენ რომ გიყურებთ იგი ჰგავს მტირალა ლომს, რომელსაც ქურდი ამშვიდებს და თან ჯიბეში ხელს უფათურებს თქვენის აზრით კარდინალი მონტა-ნელი პროგრესისტია-რეფორმატორი, შეიძლება წმინდანიც-ჩემის გაგებით კი ჯაშუში, პროვოკატორი და შეიძლება მკვლელიც იყოს.

ბოლა – გაჩუმდით არ გაბედოთ მისი შეურაცხოფა.

რივარეს – სინიორა თქვენ ისე აენთეთ "მკვლელის" გაგონებაზეთითქოს თქვენც ბრალი მიგიძღვით.

მარტინი – რაო, რა გინდათ მაგითი თქვათ?

რივარეს – ის, რასაც თქვენ ვერ მიხვდებით.

მარტინი – ოი, ჯამბაზო?

გალლი – მარტინი, გონს მოდით.

რივარეს – მე ჩამოვედი სამხრეთ ამერიკიდან, იქ მასწავლეს ასეთ შემთხვევაში პასუხი ტყვიას გათქმევინო. იქონიეთ ეს მხედ-ველობაში სინიორ!.

რიკარდო – არა რივარეს, იფიქრეთ, განა შეიძლება აქედან გულმოსული წასვლა უნდა გერიგდეთ განა დასაშვებია ასეთი ამბები პარტიულ წრეებზე.

რივარეს – შერიგება? განა მე ვისმეს წავეჩხუბე,შეიძლება სინიორ მარტინი გულნაკლულია,რომ გარტყმის ნება არ მივეცი.

რიკარდო – კარგით,სინიორ რივარეს თქვენ ორივენი გაცხარდით და არც კი იცით რაზედ ხვალ ჩვენთან იქნებით.

რივარეს – საუბედუროდ არ შეძლება ხვალ მე ჯამბაზების სანახვად უნდა წავიდე.

გალი – მაშ პაპის ოლქში გასაგზავნ იარაღს რა ეშველება

რივარეს – მაგაზე უფრო საჭირო საქმეები მაქვს.ხვალ მე ჯამბაზების სანახავად წავალ.

ფ ა რ დ ა

---

მეორე მოქმედება მიდის 20 წუთი.

## ს უ რ ა თ ი IV-

მარტინი – ძლივს... რად დაიგვიანეთ ეგრე?.

რიკარდო – წარმოიდგინეთ, შემოვიარე ხუთი წუთით ამ სიმშილობის დემონსტრაციის გამო მთელი კომიტეტი დაბნეულია, როგორ გრძნობს თავს?.

მარტინი – რამოდენიმეჯერ კიდევ მოუარა ტკივილებმა, მაგრამოპიუმი მივაღებინე დამშვიდდა და დაიძინა უკვე 10 საათია. გაუნძრე-ვლად ძინავს. სიმართლე გითხრათ მაშინებს.

რივარდო – წუხელ პირველად დაეწყო ტკივილები. არა, გამოგიტყდებით-ასეთი ნებისყოფის და გამძლე კაცი ჯერ არ მინახავს.

მარტინი – მაგრამ სინიორა ბოლლას შეწუხება რომ გვიხდება ეს არაფრად მომწონს.

რიკარდო – მით უმეტეს რომ ძალიან არ უყვარს რივარესი.

მარტინი – არა ეს...

რიკარდო – რაო, განა უკვე შერიგდნენ? მაინც ამ საკვირველ ადამიანთან შეუძლებელია ცუდ განწყობილებაში იყო, როცა გაიცნობ, გახსოვს... ამას წინათ კინაღამ ერთმანეთი დახოცეთ, ეხლა კი მეგობრობთ.

მარტინი – არა, თქვენ სცდებით, რიკარდო მართალია მე ვაფასებ რივარესს როგორც საუკეთესო მუშაკს, მაგრამ სიყვარულით კი მაინც არ მიყვარს.

რიკარდო – როგორც მუშაკს, წუნს ვერავინ დასდებს. რამდენი ენერგია და სიმამაცეამასში წარმოიდგინეთ ამ ათ დღეში როგორ გააფერმკრთა-ლა კარდინალ მონტანელის ბრწყინვალე დიდება მასხოვს როგორი აღტაცებით მიიღე იგი... ეხლა კი ვფიქრობს უხიფათოდ ვერ გადარჩება...

მარტინი – დიახ, აი ტაძართან ბრბო იკრიბება ეტყობა ძალიან მტრულად არიან განწყობილნი მე ვფიქრობ "კრაზანა" მონტანელს უსამართოდ მოექცა.

რიკარდო – რა გაეწყობა იგი ილაშქრებს სარწმუნოების წინააღმდეგ

მარტინი – სულერთია, სიტლანქე და თავდაჭერილი კილო უკანასკნელი პამფლექტისა არაფრით არ გამართლდება.

რიკარდო – არა, ის პამფლეტი მეტად დამაჯერებელია. თუ არა მას, სხვას ვის შეეძლო აეძულებინა ფლორენციის ბრბო, რომ უარყო თავისი კერპი.

მარტინი – ეს ფლორენციის ბრბო, საშბელურით ბრბოა და სხვა არაფერი. სინიორა ბოლლა არა სჩანს მე კი ოც წუთში მოხსენებაზე უნდა წავიდე.

რიკარდო – რა გაეწყობა წადით, ჩემო კარგო მე კიდევ ნახევარ საათს დავიცდი, როგორმე.

მარტინი –მაშ მე მივდივარ.

ბოლლა – მითხარით, რიკარდო როგორ მოხდა რომ რივარესის ავადმყოფობა დღევანდლამდის არ მაცნობეთ?.

რიკარდო –იმიტომ, რომ აქამდე არც ისე აუცილებელი იყო თქვენი შეწუხება.

ჯემმა – მაპატიეთ რა სტკივა? რა ავადმყოფობაა?

რიკარდო – ძველმა, მაგრამ ცუდათ მორჩენილმა ჭრილობებმა გაუხსნეს მერე კიდევ ამოდენა ხეტიალმა და ხიფათმა შეურყიეს ორგანიზმი, სული და სხეული შემთხვევით თვალიმოვკარი ერთ ხელზე ორი თითი ნაფლეთებად აქვს ქცეული დახლოებით ისევე აქვს, მთელი სხეული ამბობს რომ ამერიკაში ნადირობის დროს ფოცხვერმა დამასახიჩრაო. ზღაპრული ამბავია სწორედ.

ჯემმა – ეხლა როგორ გრძნობს თავს, საშიში ხომ არაფერია?

რიკარდო – ასეთ შემთხვევაში ძნელია გადაჭრით თქმა, მაგრამ მგონია ხიფათს გადაურჩა.

ჯემმა – საშინელია... საზარელი ასეთი მარტოობა, უთვისტომობა...

რივარეს – რა... ჩემი გამოსვლა... ღვთის გულისათვის, ბატონო, მთელი სხეული დაფლეთილი მაქვს... ამ წუთში.

ჯემმა – რა მოსდის?.

რიკარდო – დამშვიდდით... ბოდავს...

რივარეს – არ შემიძლიან... მოიცადონ მაყურებლებმა...ოი,მტკივა

რიკარდო – რივარეს.

რივარეს – რა,რაიყო ეს თქვენა ხართ? მე მეძინა?

რიკარდო – და მერე როგორ სრული 10 საათი გაუნძრევლად.

რივარეს – ათი საათი? თქვენ და მარტინი სულ აქ იყავით?

მარტინი – დიახ,მე აქ ვიყავი ვშიშობდი ვაი თუ ზომაზე მეტი ოპიუმით გაგიმასპინძლდით მეთქი.

რივარეს – არ მესმის რიკარდო რას დამდგომიხართ აქ... თავს იწუხებთ... დამანებეთ თავი,მომასვენეთ...

რიკარდო – მე და მარტინი მაინც ეხლავე მივდივართ აუცილებელი საქმე გვაქვს თქვენთან კი სინიორა.ბოლლას დავტოვებ

რივარეს – როგორ? რიკარდო? როგორ გეკადრებათ ტყუილ-უბრალოდ ამდენი ხალხის შეწუხება?... სინიორა,ბოლლა შეგიძლიათ წახვიდეთ... როგორც მხედავთ მე სრულიად ჯანსაღათ ვარ.

ბოლლა – ძალიან ცივათ მიმიღეთ,მაგრამ მაინც არსად არ წავალ ტყუილა ნუ ჟინიანობთ–იწექით წყნარად ვქიმი თუ ნებას მოგცემს,რძეს დაგალევინებთ.

რივარეს – თუ კი ეგრე გჭირდებათ ჩემი ავადმყოფობა–კარგი დავწვები რა გაეწყობა.

მარტინი –რიკარდო,ჩვენ ძალზედ დავაგვიანეთ... დავიდეთ.

მარტინი – არ გემშვიდობებით სინიორა,რადგან ორიოდ საათში დავბრუნდებით და თქვენი მოვალეობიდან გაგანთავისუფლებთ.

რიკარდო – წავიდეთ.

რივარეს – სასაცილოა ,ისევ მოგროვდებიან,რომ მთელი ღამე მოსვენება არ მომცენ.

ბოლლა – როგორც ვხედავ გსიამოვნებთ უფრო გულქვად მოაჩვენოთ კაცს, თავი ვიდრე სინამდვილეში ხართ რად იქცევით ეგრე?

რივარეს — არის მიზეზი.

ზიტა — გინდათ რძე ან ყავა.

რივარეს — არა, დაჯექით ჩემთან...ახლოს.

ზიტა — ინებეთ.

რივარეს = რაკი თავს იდებ ეს მოსაწყენი მოვალეობა.ავადმყოფთან ყოფნისა,ძალაუნებლიეთ უნდა გაგართო და თუ ნებას მომცემთ ერთ მეტად სასაცილო და საკვირველ ამბავს მოგახსენებთ,რომელსაც აქამდე საიდუმლოდ ვინახავდით...

ზიტა — რომ გაწყინოთ ბევრმა ლაპარაკმა...მეშინიან უარესად გახდეთ.

რივარეს — ა,რატერია... გიამბობთ იმას,თუ როგორ გავხდი კოჭლი და მახინჯი.

ზიტა — რატომ იფიქრეთ,რომ ეს ამბავი მე სასაცილოდ მომეჩვენა?

რივარეს = აი,დაინახავთ ვშიშობ ბევრი სიცილისაგან გული არ წაგივიდეთ

ზიტა — წეღან მითხრა რიკარდომ...მხეცებზე ნადირობის დროს ფოცხვერს დაუსახიჩრებიხართ.

რივარეს — ფოცხვერს? ეს ძალიან რომანტიულია.ფოცხვერი კი არა, ეს გახლდათ ჩვეულებრივი ცეცხლის საჩხრეკი რკინა.

ზიტა — რა?

რივარეს—ცეცხლის საჩხრეკი მეთქი,წარმოიდგინეთ უბრალო ცეცხლის საჩხრეკი რკინა,შეიძლება მძლავრ და გამოცდილ ადამიანის ხელში საშინელი იარაღი გახდეს ეს მოხდა ლიმაში..თოთხმეტი წლის წინად მე დავბრუნდი არგენტინიდან.ხეტიალის დროს დამაწყებინა ციებ ცხელება ეს იყო ნამდვილი ციება ავადმყოფო-ბიდან ღონე მიხდილს სიმშილით სიკვდილი მელოდა და სწორედ ლიმაში მე დავდექი მოჯამაგირედ ერთ-ერთ ქაღალდის მოთამაშეთა ბუნაგში ვემსახურებოდი მეზღვაურებს და მათ ქალებს ერთ ღამეს მიბრძანეს გამეგდო გარეთ ერთი გალეშილი ლოთი,რომელმაც იქაურობა აიკლო.ეს იყო ერთი ახმახი გაცილებით ჩემზე ღონიერი ვაჟკაცი მე სულ ცხრამეტი წლისა ვიქნებოდი.ავადმყოფობისაგან

ღონე გამოლეული ამას გარდა მას ხელში ცეცხლის საჩხრეკი რკინა ეჭირა, რომლითაც ცემა დამიწყო.ეჭვს გარეშეა,რომ მარჯვეთ ვერ იყო თორემ... ცოცხალი გადაურჩებოდი.

ბოლლა – რაღას შვრებოდენ დანარჩენები? რათ არ მოგეშველნენ? ერთმა მთვრალმა მეზღვაურმა როგორ შეაშინა ამდენი ხალხი

რივარეს – დანარჩენები? მეპატრონე და დანარჩენები სიცილით იხოცებოდნენ.. გასართობში იშოვეს,მე ხომ მათი მონა ვიყავი.

ბოლლა – რით და დასრულდა?

რივარეს – იქვე ახლოს... გემზე გაგზავნეს ექიმის მოსაყვანად კაცი, როცა ექიმი სავსებით დარწმუნდა,რომ მკვდარი არ ვიყავი, მიწამლა და თითქოს შემაკეთა,რიკარდოს აზრით ცუდათ,მაგრამ შეიძლება მასში პროფესიონალური შური ლაპარაკობს.

ბოლლა – ნუ ხუმრობთ...რივარეს...თუ...რა საჭიროა...

რივარეს –მომითმინეთ... ნამდვილი სასაცილო ამბავი ეხლა დაიწყება, როცა გონზედ მოველი ერთმა დედებერმა თან წამიყვანა.კარგა ხანს ვეგდე მის ქოხში,იატაკზე,რომელიც ნოტიოსაგან ლპებოდა და შემაძრწუნებელი სუნი ასდიოდა იქაურობას.ყოველ დღე,მზის ჩასვლისას,მთელი სხეული ტკივილს დამიწყებდა საშინელ სიმწარეს განვიხდიდი.ეხლაც არ შემიძლია შეუძრწუნებლად უცქირო მზის ჩასვლას წამოველი დედებარებისაგან კოჭლი,დასახიჩრებული ხელებით ვეთრეოდი უვარგისი,თავს ვირჩენდი მოწყალებით,მაგრამ ტკივილები წინანდებურათ არ მასვენებდნენ და ერთხელ....

ბოლლა – კარგია...კმარა... ეს მოგონებები გაწყენთ.ნუ ლაპარაკობთ.

რივარეს– და ერთხელ შევყარე მოხეტიალე ჯამბაზების დასს.გახსოვთ ის ჯამბაზები აი სწორედ ისეთები იყვნენ მე დიდიხნის ნაშიმშილები ვიყავი და კარავის შესავალში ჩავიკეცე,მაჭამეს,არაყიც დამალევინეს... და მეორე დილით წინადადება მომცეს,მათ სჭირდებოდათ კაცუნა კუზიანი მახინჯი,რომლის გამასხარავება შესძლებოდათ,რომ ხალხი გაემხიარულებინათ.ხომ დაინახეთ იმ საღამოს კუზიანი? ორი წლის განმავლობაში მე ისეთი ვიყავი გამიკეთეს

ხელოვნური კუზი და ჩემი მახინჯი ხელფეხი ნიჭიერად გამოიყენეს. იგი მხოლოდ ერთი დაბრკოლება, ჩემი ტკივილები, რომელნიც თამაშს მიშლიდნენ, მაგრამ თუ პატრონი ცუდ გუნებაზე იყო მაიძულებდა მაინც გამოვსულიყავი და ასეთ შემთხვევაში მაყურებელი უფრო კმაყოფილი რჩებოდა მასხრით...ერთხელ სცენაზე საშინელი ტკივილი ვიგრძენი და გულწასული იქვე წავიქეცი...გონს რომ მოვედი, ბრბო გარს მეხვია...ზოგი მჩქმეტდა....მაფურთხებდა...ხარხარებდნენ და ფორთოხლის კანს მესროდნენ ... და...

ბილლა – კარგით...არ შემიძლიან ამის მოსმენა...გაჩუმდით...ოჰ... მე მინდა გკითხოთ.

რივარეს – რა?

ბილლა = რატომ თავი მიიკალით.

რივარეს – თქვენ მეკითხებით ამას? ჰო, მაგრამ ჩემი საქმე? ხომ არ გგონიათ, რომ თავშესაქცევად ვეწევი ამ მუშაობას, როგორც გრასინი, ან კიდევ მთელი ეს ხროვა რევოლუციონერ ჯამბაზებისა.

ბილლა – შეიძლება კიდევ ერთი კითხვა? ეს ყველაფერი თორმეტი წლის წინათ მოხდა...მაგრამ მანამდე...ამერიკაში გამგზავრებამდე. რატომ არ... /ხმაური/

რივარეს – მ...მოიცათ, ეს რა ხმაურობაა?

ბილლა – ეს ბრბოა. მონტანელის ტაძრიდან გასვლას უცდის.

რივარეს – მონტანელის? ის აქ ტაძარში? მინდა დავინახო...

ბილლა – ღვთის გულისათვის...ნებას არ მოგცემთ ადგეთ დაუცადეთ რიკარდოს მე ვერ დაგრთავთ ნებას.

რივარეს – ა...რადენია...

ბილლა – ეს სიგიჟეა ფეხზე ძლივას სდგეხართ.

რივარეს – როგორ მრისხანედ არიან განწყობილნი არ ვისურვებდი კარდინალის მდგომარეობაში ყოფნას.

ბილლა – გამარჯვებას ზეიმობთ არა? ეს თქვენი პამფლეტების ბრალია.

რივარეს =რაო...რა იქნება ეხლა რომ მოჰკლან იგი?...

ბოლლა =საშინელება, როგორ მოგივიდათ თავში ასეთი აზრი მთელი მოედანი პოლიციელებითაა სავსე.

რივარეს = კი, მართლა ვერ მოვისაზრე, ჟანდარმები მიეშველებიან სინიორა ბოლლა, ჯერ სულ კარგად ვერა ვარ-მომეცით ერთი ჭიქა შავი ყავა...

ბოლლა = ტკივილი ხომ არ გაწუხებს?

რივარეს = არა, ისე სისუსტე ვიგრძენი... გამიკეთეთ შავი ყავა.

ბოლლა = ეხლავე.

გალლი = რივარეს, სინიორ რივარეს, ღვთის გულისათვის, სადა ხართ? სინიორ რივარეს!

[illegible] = აქა ვარ...

გალლი = სინიორ რივარეს, უბედურება დომინიკინო და მიქელე დააპატიმრეს...უნდა ვიჩქაროთ ერთი დღის დაკარგვა-საქმეს საბოლოოდ გააფუჭებს. იარაღს აღმოაჩენენ...ხელში ჩაიგდებენ ყველა მთის გეგმებს. სადაც ჩვენი მოწინავე რაზმებია ჩასაფრებული... მოულოდნელად დაესხმებიან თავს და თაგვებივით ამოხოცავენ.

რივარეს – რა იყო? რა მოხდა.

გალლი – ღმერთო ჩემო თქვენ ავად ხართ, ხელები გაგცივებია მე გამგზავნეთ, მითხარით როგორ მოვიქცე... დაყოვნება შეუძლებელია... ჩვენ ხელში ჩაუგდებთ მათ ათასზე მეტ მთიულებს, რომლებიც ჩვენ შემოგვცქერიან.

რივარეს – გავცეთ მთიულები? იარაღი? როგორრ, განა მე ქვეყანაზე აღარა ვარ? მკვდარი ვარ განა? არა გალლი, ხომ ხედავ... ჯერ კიდევ ფეხზე ვდგევარ ეხლავე ბრიზიგელასაკენ უნდა გავსწიოთ. გეფიცებით უფალს ამ ქალაქს ავაფეთქებ, ვიდრე ნებას მივცემდე, რომ ჩვენ მთიელ მეგობრებს თავზე ბეწვი შეურხიონ.

გაალი –რივარეს, თქვენ როგორც ცეცხლი ყველაფერს აელვარებთ...
მე მწამს, მჯერა, რაკი თქვენ ჩვენთანა ხართ, ყველაფერი
გამოსწორდება.

რივარეს – ბ...ბრისიგელიაში. ეხლავე წავიდეთ, თქვენც მომეხმარეთ
რომ მოვემზადო...ჯერ კიდევ სისუსტეს ვგრძნობ სინიორა,
ჩვენ უნდა გავემზადოთ.

ბოლლა – სად? რა ხმაურობაა.

რივარეს – ბრისიგელიაში–წმინდა მამა მონტანელის ნავთსაყუდში აქ
ფლორენციაში გაიგონებთ იმ დარტყმის ხმას, რომელითაც
მის უწმინდესობას მოულოდნელად გავაყრუებთ.

გაალი – რივარესი უნდა წავიდეს, სინიორა, აჯანყება განსაცდელშია...
უამისოდ იქ სიმამაცეს დაჰკარგავენ

ბოლლა – მაშ ეს მართალია? გაალი ეს რა ჰქენით? რივარეს, ნუ წახვალთ
ეს ხომ თვითმკვლელობაა.

რივარეს – კარგია, თქვენ ხომ სინიორა გარსანი არა ხართ. წუწუნი კი
არა, ეხლა შველას ვსაჭიროებთ აქ ფლორენციაში ჩვენ გვაქვს
მთელი რიგი ამოცანებისა შესასრულებელი. ამას თქვენ და გა-
კისრებთ ოხ, სანფრანცისკოს რა ეშველება...ვინ წავა იქ
და დარჩენილ იარაღს გადმოზიდავს? გალლი, თქვენს მეტი ვინ
შესძლებს ამას.

გაალი–დიახ მე წავალ.

რივარეს – ჰო, მაგრამ ჩემთან ვინ წამოვა? კიდევ საჭიროა ვინმე
რაკი ამხანაგები დაპატიმრებულნი არიან.

ბოლლა – მე წამოვალ თქვენთან.

გალლი – სინიორა.

რივარეს – სინიორა, რომანტიული გუნებისაა...მაგრამ უნდა
იცოდეს, რომ შესაძლებელია, რომანი...საიქიოთი დასრულდეს.

ბოლლა –მე სინიორა გრასინი არ გახლავართ განა თქვენ თითონ არა სთქვით? და რაკი მე გადავწყვიტე წამოსვლა,ვისი რაც მომელის.

რივარეს – რაღას მეტყვიან თქვენი ამხანაგები გრასინის კომიტეტიდან?

ბოლლა – მე არ მყავნან ამხანაგები თქვენს ჩამოსვლამდე მარტო ვიყავი როგორც თქვენ ისე არც მე შემიძლიან რევოლუციის გათამაშება.

რივარეს – თუ ასეა,მაპატიეთ.მაშ მივდივართ ერთად კეთილი.

გალლი – სინიორა მაპატიეთ სიბრიყვე,მაგრამ ნება მომეცით ხელზე გაკოცოთ მე ვიცოდი,რომ თქვენი გზა ჩვენთან უნდა ყოფილიყო.

რივარეს – აბა გალლი მომეხმარე მოვემზადოთ დაბინდდება თუ არა უნდა გავსწიოთ.

ბოლლა – რივარეს.

რივარეს – ხელს ნუ მახლებთ.

გალლი – რა მოგდეთ რივარეს.

რივარეს – შეგაშინეთ სინიორა არა? რა გაეწყობა ცხოვრებაში უკვალოდ არა ჰქრება რა.რამდენიმე ხანია დამჩემდა ჩემი საუკეთესო მეგობრების ასეთი ჯამბაზური საქციელით დაშინება.

ბოლლა – ჩეზარე,ო როგორ მჭირია თქვენი დახმარება გონებას ვკარგავ... ასე ცხოვრება შეუძლებელია...არ შემიძლია მიშველეთ.

მარტინი – ჩემო ძვირფასო...

ბოლლა – უნდა გითხრათ...მე ვდუმდი ვიდრე ძალა შემწევდა,ხმის ამოღება კი მეშინია...სულ ერთია იგი არ მასვენებს... მე თქვენ უნდა გითხრათ.

მარტინი –რა გინდ დიდი ვარამი არ უნდა იყოს,მაინც უნდა მითხრათ ერთად მოვიფიქროთ.

ბოლლა – არა,ეხლა არა მოგიყვებით უკან დაბრუნების შემდეგ

მარტინი – თქვენ მიდიხართ!

ბოლა – დიახ,ამაღამვე.

მარტინი – სად.

ბოლლა – ბრიზიგელაში.

მარტინი – ბრიზიგელაში? რატომ?

ბოლლა – რივარესთან ერთად.

მარტინი – რათ? რივარესთან ერთად? მაშ ჩაგითრიათ თავის ავანტი-
რაში? ჯემმა...როგორ დაჰყევით მის სურვილს?...

ბოლლა – ჩეზარე,ჩვენ იქ გველოდება ისეთი საქმე,რომელსაც მე
მთელი ჩემის არსებით ვეკუთვნი.

მარტინი –ჯემმა,მიპასუხეთ ერთ კითხვაზე...რივარესი თქვენთვის
ძვირფასია,როგორც ადამიანი,თუ როგორც მონაწილე რევოლუცი-
ონერ მოძრაობისა?.

ბოლლა – არ ვიცი.

რივარეს – სინიორა ბოლლა,ქალი ვახშამს გვიმზადებს გულმოდგინეთ
არ აკლია,მაგრამ საბოლოო გამარჯვებისათვის თქვენი დახმარე-
ბა აუცილებელია.

ბოლლა – მართლა,თქვენ ხომ არაფერი გიჭამიათ,როგორ არ
მომაგონდა ეს ამ წუთში ყველაფერს მოვაგვარებ.

რივარეს – მაინცა და მაინც თუ იჩქარით ერთი საათი დრო კიდევ გვა-
ქვს.

მარტინი – რივარეს,მითხარით დაუფარავად,რა საქმეში გინდათ ჩაითრიოთ
სინიორა ბოლლა?.

რივარეს – მან თითონ გადასწყვიტა იგი არავის არაფერში არ ჩაუთრევია

მარტინი – მე ეს ვიცი...მაგრამ მითხარით.

მივარეს – ყველაფერს გეტყვით,რაც კი შემეძლება.

მარტინი – მითხარით ... რამე ხიფათი ან განსაცდელი ხომ არ მოელის?

რივარეს – გინდათ სიმართლე იცოდეთ?.

მარტინი – რაღა თქმა უნდა

რივარეს – დიახ,მოელის.

მარტინი –მინდა გკითხოთ კიდევ ერთი რამე...შეგიძლიათ არ მიპასუხოთ მხოლოდ თუ მიპასუხებთ სიმართლე მითხარით გიყვართ,როგორ გავიგო თქვენი დუმილი? არ გინდათ მიპასუხოთ?

რივარეს – არა...რატომ...მე ვფიქრობ მაქვს უფლება გკითხოთ,რატომ მეკითხებით ამას?

მარტინი – ნუთუ ვერ მიმიხვდით.

რივარეს – თუ კი ასეა,დიახ,მე მიყვარს იგი მაგრამ ხომ არ გგონიათ, სიყვარულის ახსნით თავი მოვაბეზრო მე...

მარტინი –რა თქვენ?

რივარეს – მოკვდები არა მაქვს არავითარი იმედი გადარჩენისა კისერზე სახრჩობელის თოკი მაბია და როგორც კი გავცდები ტოსკანას საზღვარს მე თვითონ მოუჭერ თოკს.

მარტინი – და ეგრე იოლად თანხმდებით უხელმძღვანელოდ დასტოვოთ საქმე,რომელიც თქვენვე დაიწყოთ?.

რივარეს – ეZZZ ჩემო კარგო,მხოლოდ ბრიყვს ან მხდალს შეუძლიან იფიქროს,რომ მის სიკვდილთან ერთად რევოლუციაც დაიღუპება მე კი არ ვფლობ მასას,არამედ თვით ხალხის ნება მაქეზებს და მიასწრაფებს ბრძოლის ხალისს.

მარტინი – მაგრამ ქალი,რომელიც გიყვართ,რატომ არ უფრთხილდებით,რატომ მიგყავთ უეჭველ საფრთხისაკენ.?

რივარეს – იმიტომ სინიორ,რომ ქალისადმი სიყვარული დიდი საქმეა, მაგრამ უდიდესი არა ის იქ სასარგებლო იქნება ისე,კი მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად ყველა ზომებს მივიღებ.

მარტინი – გმადლობთ სინიორ? /გადის/

ბოლლა – მარტინი სადაა?

რივარეს – წავიდა ალბად მალე დაბრუნდება.

ბოლლა – ვახშამი მზადაა,გალლისთან ივახშმებთ თუ აქ მოგიტანოთ?

რივარეს – ნუ გამიჯავრდებით სინიორა,მაგრამ სრულებით არ მინდა ვახშამი.

ბოლლა – უჭმელობისაგან ძალი შეგილონდებათ...ძაღრხილილით თავს.

რივარეს – დამშვიდდით, მე ვიცოცხლებ ნერვებით. ეს ჩვეულებრივი ამბავია, ჩემი ტკივილების შემდეგ, რამოდენიმე წუთი, რომელიც დაგვრჩენია წასვლამდე – მინდა გავატარო ერთად შეიძლება ეს უკანასკნელიც იყოს.

ბოლლა – კი მაგრამ ჩვენ ხომ ერთად ვიმგზავრებთ?

რივარეს – არა, თქვენ გაემგზავრებით ჩემს შემდეგ და სხვა გზით. გადაჭრით პიაჩენცას, ორივენი ერთად რომ დაგვიჭირონ, ამბოხება დაიღუპება.

ბოლლა – როგორ; თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ დაგიჭერენ? მაშ როგორ ბედავთ რივარეს? დარჩით, მე მარტინის დავითანხმებ ის ჩემი გულისათვის ყველაფერს ჩაიდენს.

რივარეს – სინიორა, ეს ქალური საშუალებაა. სასიკვდილოთ ჩემს მაგიერ ჯერ სხვა არ გამიგზავნია. აი, მისამართი თუ მშვიდობით ვიმგზავრებთ ჩვენ შევხვდებით ხვალ საღამოს.

ბოლლა – რივარეს ცოტა დრო დაგვრჩენია, მე კი სათქმელი ბევრი მაქვს გუშინ ამისათვის გამბედაობა არ მეყოფოდა, მაგრამ ეხლა სიკვდილის პირას ვდგევართ...მომისმინეთ...თქვა მთელი თავგადასავალი მომიყევით. მომეცით ნება მეც ერთ რამეში გამოგიტყდეთ. შორეულ ბავშვობაში მე ჩავიდინე ერთი საზარელი საქმე უხეში საქციელი მოვკალი ერთი კაცი, ჩემი საუკეთესო მეგობარი...მე მგონია, რომ მოვკალი იგი აი ეს მისი სურათია, რას იტყვით ამის შემდეგ?.

რივარეს – საბრალო ბავშვი კარგია რომ მოკვდა ძალიან უბედური იქნებოდა იგი იოლად ვერ აიტანდა სიყალბეს და სიმახინჯეს ჩვენი ცხოვრებისას. დროზე მომკვდარა.

ბოლლა – ხომ არ მიამსგავსებთ ვისმეს?

რივარეს – მართლაც...ძალიან ჰგავს.

ბოლლა – ვის?

რივარეს-კ-კარდინალ მონტანელის დიახ...თვალები...პირი...შეიძლება მის უწმინდესობას ჰყავდა ძმის შვილი ან ვინმე ნათესავი.

ბოლლა – რივარეს... ყველაფერს აქვს საზღვარი...მე მეტი არ შემიძლია ძალა არ მყოფნის...მითხარით...შეიძლება ხვალ ორივე მოვკვდეთ.მითხარით...მითხარით რამე.

რივარეს – რა უნდა გითხრათ? მკვდრები სამარეში დარჩნენ ცოცხლები მათ საქმე არა აქვთ.

ბოლლა – შემიბრალეთ შემიბრალეთ შეიძლება მე მოვკვდე-მითხარით მეტს ნუღარ სდუმხართ.

რივარეს – გითხრათ...კარგი როდესაც ჩემი სიცოცხლე ასე შეუბრალებლად გათავდა აი, მარტინიც ეხლა კი წავიდეთ.წავიდეთ უკვე დაღამდა გალლი გაათავეთ ვახშამი მივდივართ.

მარტინი – ჯემმა?.

რივარეს – ის გაემგზავრება დაგვიანებით,პიაჩენცის გზით.

გალლი – აი,თქვენი მოსაახურავი ყველაფერი მზად არის.

რივარეს – ფანჯარაში გადავძვრეთ,რომ ალაყაფის კარებში არავინ შეგვეფეთოს.

მარტინი – წვიმს ქარიშხალს აპირებს.

რივარეს – მით უკეთესი.ჯაშუშები დასაძინებლად წავიდნენ მშვიდობით. მშვიდობით სინიორა.

ბოლლა – მე უკვე მაქვს.

რივარეს – არაფერია.მ...გამოგადგებათ.მშვიდობით მარტინი კარები ჩაჰკეტე და დილამდე ნუ ჩააქრობთ სანთელს იფიქრებენ რომ სახლში ვარ და ვმუშაობ გალლი

ბოლლა – იქ გეტყვით ყველაფერს.

მარტინი – სინიორა ბოლლა,ერთი სიტყვა

ბოლლა – იგი მოკვდება,მოკვდება მე მას ვერასოდეს ვერ ვნახავ

მარტინი – სინიორა,ყველაფერს მივხვდი.ეხლა ვიცი თუ როგორ მოვიქცე თუ ტანსაცმელი მოელის მე მოვკვდები მაგრამ რივარესს კი გადავარჩენ.

ფ ა რ დ ა

მესამე მოქმედება მიდის 25 წუთი.

## მე-5-ე სურათი

/კარდინალ მონტანელის სახლი ბრიზიგელაში/

მონტანელი – პოლკოვნიკო ფერარ, თქვენის აზრით სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად უმჯობესია "სხეულის და სისხლის" დღესასწაულამდე დავსაჯო.

ფერარი – გიმეორებთ, თუ იგი ხუთშაბათამდე ცოცხალი დავტოვეთ, უბედურება არ აგვცდება.

მონტ – და საუკეთესო გამოსავალი, თქვენის აზრით მისი სიკვდილია?

ფერარ – დიახ.

მონტა – პოლკოვნიკო ფერარ თქვენ გწამთ ღმერთი?

ფერარ – თქვენო უწმინდესობავ...

მონტ – თქვენ გწამთ ღმერთი? გეკითხებით.

ფერარი – მე ქრისტიანი ვარ და ცოდვების შენდობაში ჯერ ჩემთვის უარი არასოდეს არ უთქვამთ...

მონტ – მაშ... დაიფიცეთ ჯვარცმაზე, რომ მართალი მითხარით თქვენ მთხოვთ, რომ ადამიანის მოსაკლავად დასტური მოგცეთ, თუ სინდისი ნებას გაძლევთ, ჯვარცმაზე დაიფიცეთ, რომ სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, სხვა საშუალება არ იცით.

ფერარი – სხვა გამოსავალი მე არ ვიცი.

მონტ – კარგით, ხვალ გეტყვით პასუხს. უბრძანეთ პატიმარი შემოიყვანონ მინდა პირისპირ ველაპარაკო.

ფერარ – როგორც გსურდეთ, თქვენო უწმინდესობავ, პატიმარი აქ არის და თქვენს ბრძანებას ელის. თუ ნებას მომცემთ... ჩემი რჩევაა მე დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგ ინანებთ. ის ადამიანი კი არა, სატანაა. მისთვის არავითარი სიწმინდე არ არსებობს ამას გარდა ენა მწარე აქვს. ვიცი დაცინვის და შეურაცხოფის მეტს მისგან ვერაფერს გაიგონებთ.

მონტანელი – უბრძნნეთ პატიმარი შემოიყვანონ/გარეთ დამიცადეთ.

კაპიტანი – მესმის,თქვენო უწმინდესობავ ნუ გამირისხდებით, თქვენო უწმინდესობავ,მაგრამ პოლკოვნიკი ფიქრობს მოსალოდნელი ხიფათის ასაცილებლად უმჯობესია...

მონტანელი – გარეთ დამიცადეთ. დაბრძანდით სინიორ,რივარეს ,მე მინდა რამოდენიმე შეკითხვა მოგცეთ და ძალიან დაგიმადლებთ თუ მიპასუხებთ.

რივარეს – კითხვების მოსმენა ეხლა ჩემი მოვალეობაა.

მონტ . – რომელზედაც როგორც გადმომცეს არ უპასუხებთ,მაგრამ იმ კითხვებს მოხელეები გაძლევენ,რათა თქვენი გასამტყუნებელი საბუთები იპოვონ.

რივარეს – თქვენი კითხვების მიზანი კი სხვაა არე?

მონტ. – ჩემი? ჩემი კითხვები ჩვენს შორის დარჩება,მითხარით მიპასუხეთ თუ არა? თუ ჩემი კითხვები თქვენ პოლიტიკურ საიდუმლოებას შეეხება მაშინ შეგიძლიათ არ მიპასუხოთ.

რივარეს – მზად ვარ თქვენი უწმინდესობის სამსახურისათვის...

მონტ. – უწინარეს ყოვლისა მითხარით,რას აპირებდით იმ იარაღით რომლის გადმოზიდვასაც თქვენ გაბრალებენ?

რივარეს – ვირთაგვების ამოჟლეტას.

მონტ. – საშინელი პასუხია! ვინც თქვენს რწმენას არ იზიარებს განა ვირთაგვათ უნდა ჩასთვალოთ.?

რივარეს – ზოგიერთი მათგანი დიახ...

მონტ. – ხელზე რა მოგივიდათ?

რივარეს – წინანდელი ნიშნებია.იმავე ვირთაგვების კბილებისაგან

მონტ. – არა,მე მეორე ხელის შესახებ გეკითხებით,ეს ახალი ჭრილობაა?

რივარეს – უმნიშვნელო რამაა, ეს როდესაც თქვენი უწმინდესობის წყალობით დამატყვევეს,მაშინ ერთ ერთმა ჟანდარმმა ხელზედ ფეხი დამადგა.

მონტ – ო,ღმერთო,იარა გამიზეზებულა.

რივარეს – დიახ,ბორკილებმა მალამოს მაგივრობა ვერ შესძლეს.

მონტ. – როგორ? მოუშუშებელ ჭრილობაზედ ბორკილი დაგადეს?

რივარეს – ალბად ეს უკეთეს წამლობად მიიჩნიეს.

მონტ. – დღესვე მოველაპარაკები ციხის უფროსს,რომ ბორკილი აღარ გაგიკეთონ,თქვენ უთუოდ ხუმრობდით,როდესაც სთქვით რომ თქვენის მიზეზით დამატუსაღესო.

რივარეს – სრულიადაც არა განა თქვენ უწმინდესობას დაავიწყდა ყოველივე თქვენი ტაძრიდან გამოსვლის დროს?ჟანდარმი დაპატიმრებას მიპირებდა თავის დასახსნელად მინდოდა მისთვის მესროლა და სწორედ ამ დროს წინ თქვენ გადმომი- დექით მინდოდა თქვენთვისაც მესროლა...მაგრამ ერთ წუთს შევფიქრდი და ეს წუთი ახლა თავისუფლებად მიღირს.

მონტ. – და თქვენ მისაყვედურებთ,რომ სისხლის ღვრისაგან დაგიხსენით.

რივარეს –აარა,დასანანი ის არის,რომ თქვენი ქრისტიანული სათნოება ჩემი ხარჯთ გამოიჩინეთ,თქვენ მეფის ჟანდარმი სიკვდილის გადაარჩინეთ–მე კი სახრჩობელაზედ მგზავნით თუმცა თქვენ მოიქეცით ისე,როგორც ყრდინალს შეჰფერის.

მონტ. – მაგ სიტყვებით თქვენს პამფლეტზე უფრო უარესად შეურაცხოფთ შეიძლება კაცმა იფიქროს,რომ პირადათ ჩემი სიძუ- ლვილი გამოქმედებთ შესაძლოა ჩემდა უნებურად რაიმე დაგიშავეთ.

რივარეს – კარდინალმა რამე დაგიშავა? არა,ეს უბრალო საქმეა ბოდიშს ვიხდი,მაგრამ საერთოდ მღვდლების მიმართ ისე ბოროტად ვარ განწყობილი,რომ ანაფორის დანახვა კბილის ტკივილსა მგვრის.

მონტ. – ო,თუ საქმე მხოლოდ მაგაშია...მიპასუხეთ,კიდევ ერთ კითხვაზე რა გაქვთ განზრახული შემდეგისათვის?

რივარეს – თუ გაქცევა ვერ მოვახერხე სიკვდილი

მონტ. – წარმოვიდგინოთ, რომ შესძელით გაქცევა, მაშინ რა განზრახვა გაქვთ?

რივარეს – უკვე მოვახსენე თქვენს უწმინდესობას, ვირთაგვების ჟლეტა მეთქი.

მონტ. – სინიორ რივარეს, მომეცით სიტყვა, რომ უარჰყოფთ თქვენს შემცდარ გზას და მე ვეცდები სიცოცხლე შეგინარჩუნოთ: მე უკვე მოვხუცდი, ცოტა დამრჩენია სიცოცხლე და მინდა საფლავში ისე ჩავიდე, რომ სხვისი სისხლი ჩემს ხელებს არ მოეცხოს.

რივარეს – ა.ა.... ნუ თუ თქვენი უწმინდესობის ხელებში აქამდე სუფთაა?

მონტ. – ეგ რა სთქვით? განა იცით ჩემი წარსული?, როგორ, იცინით? და თქვენ შეგიძლიათ სიცილი?...არა, თქვენ ადამიანი არა ხართ.

რივარეს – დიახ...მე სატანა ვარ. განა პოლკოვნიკ ფერარიმ არ მოგახსენათ ამის შესახებ,?მე კი ყოველ დაკითხვაზე სატანას მეძახის ხოლმე.

მონტ. – უფალმა შეგინდოთ თქვენი ჩემდამი ასეთი ქცევა არ გამოგკითხავთ თუ საიდან ან როგორ შესძელით ჩემი საიდუმლო ტანჯვის გაგება, ან რად დამცინით ასე, შეგინდოთ უფალმა უფალი მოწყალეა, იგი განკურნავს თქვენ სულიერ იარებს და მაშინ განიცდით სიხარულს, რომელიც უარჰყოფს ადამიანურ სიბრმავის გამო...

რივარეს -სიბრმავე... დიახ უძლეველი ... საზარელი სიბრმავე კ..კარდინალო თქვენ მომმართეთ კითხვით და მეც გიპასუხეთ. თქვენ სცდებით, თქვენი სიმართლე-სიცრუეა, სათნოება-სისხლი და სიყვარული კი ძალადობა, რომ ჩვენ მკვლელები ვართ, ვანადგურებდით და ვბილწავდით ყველაფერს? არა, ჩვენც გვიყვარს ქვეყანა, ხალხი ჩვენც გვიყვარს მზე და ცა... ჩვენც გვყავს საყვარელი არსებანი, რომელნიც გაშმაგებით გვიყვარს ჩვენ ბედნიერება გვინდა ყველასათვის კარდინალი, ერთხელ მაინც გადასცდით იმ წყეულ რკალს, რომელშიაც მოწყვდეულია თქვენი სული და რას დაინახავთ? დაინახავთ ათასობით მონებს მშიერ მწყურვალთ და მათზე მოფამფამე ერთ მუჭა მუქთა ხორებს. ჩვენ მოვითხოვთ მონების განთავისუფლებას. მოვითხრვთ, რომ მზე მათაც უნათებდეს ქვეყანა იმათაც ისე ეკუთვნის, როგორც თქვენ და აი ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას. ცოცანი ვართ, მაგრამ სამართლიანობისათვის თავდადებულნი თქვენი კი როგორ იქცევით? გვიქადაგებთ სათნოებას და კაცთ მოყვარეობას აჯანყებულთ სიმშვიდისაკენ მოეწყო ჯვარცმით ხელში ჩვენს მტრებს იფარავთ და ყოველ ნაბიჯ გზას გვიღობავთ. ჩამოგვეცალეთ და ბრძოლაც გათავდება მაგრამ თქვენ სდგეხართ და ადგილიდან არ იძვრით... ბრძოლა კი გრძელდება და სისხლიც დაუსრულებლივ იღვრება... ყოველი წვეთი დაღვრილ სისხლისა ჩვენ უფრო გვტანჯავს, ვიდრე თქვენ კარდინალის მონტანელი თვალები გაახილეთ... ჩვენ მოგიწოდებთ ჩვენს რიგებში ჩადგომას კ...კარდინალო მონტანელი, ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილნი გეძახიან თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

მონტ.. –გზა–აბნეული გონება.

ფერარ – თქვენო უწმინდესობავ,გემუდარებით ეხლავ შესწყვიტოთ საუბარი

მონტ. – პოლკოვნიკ ფერარ,მე თვითონ შევსწყვეტ,როდესაც ამას საჭიროდ მივიჩნევ.

ფერარ – თქვენო უწმინდესობავ,მოსალოდნელია დიდი ხიფათი ხალხი ღელავს და თქვენც სახლს გარს ახვევია.

მონტ. – თქვენი შიში უადგილოა,თუ აუცილებელი იქნება რამოდენიმე სიტყვას ვეტყვი და ისინიც დამშვიდებიან.

ფერარ – არა მგონია,თქვენს უწმინდესობას ალბად არ დაუნახავს, თუ როგორ შფოთავენ,საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება წინააღმდეგ შემთხვევაში მე ვერ ვაგებ პასუხს.

მონტ. – პოლკოვნიკო,გთხოვთ დამტოვოთ რივარესთან,ჯერ საუბარი არ დამისრულებია.

ფერარი – ჰო,მაგრამ...თქვენო უწმინდესობავ,ცეცხთან თამაში არ შეიძლება.ბრბოს ტუსაღის განთავისუფლება უნდა.

მონტ. – პოლკოვნიკო ფერარ ნუ მიშლით ხელს გთხოვთ მნახავდეთ, როდესაც დამჭირდებით,მე თვითონ დაგიძახებთ.

ფერარი – როგორც გენებოთ ღმერთმა ქნას რომ არ ინანოთ.

მონტ. – სინიორ რივარეს,ეს ცდაა თქვენი განთავისუფლებისათვის იცოდეთ ამის შესახებ?

რივარეს – არ ვიცი.შეგიძლიათ დამშვიდდეთ,მე თქვენს სახლში ვარ,აქედან წავალ ან ციხეში ან სამარეში.უბრძანეთ შემოუშვან ჩემთან ეს ხალხი მე მათ ყველაფერს აუხსნი და ისინიც დამშვიდდებიან.

მონტ. – არა,ეს დაუშვებელია,მე ვერ შემიძლიან ბრბოს ამბოხება წავაქეზო...

რივარეს – კ. კარდინალო,ნუ ეხუმრებით ბრბოს და ხელს ნუ ჰკრავთ ამბოხებისაკენ შემოვიდნენ...ფიცსა ვდებ ,რომ მე ამით არ ვისარგებლებ

მონტ. – არა სინიორ, თუ ეს აუცილებელია აივნიდან ელაპარაკეთ.

რივარეს – კ-კარდინალო ნუ ქინიანობვ შემოუშვით მე აქედან მხოლოდ ციხეში დავბრუნდები...თქვენ უნდა დამიჯეროთ.

მონტ. – მჯერა, მაგრამ სახლში იმათ ვერ შემოუშვებ.

რივარეს – ძვირფასო მეგობრებო, მე სიტყვა მივეცი, რომ ამ სახლიდან მხოლოდ ჩემს საკანში დავბრუნდები. თქვენ კარგად გიცნობთ უმალ სიკვდილს ვარჩევ, ვიდრე სიტყვას გავტეხდე. მაშ რომელ თქვენგანს უნდა ჩემი სიკვდილი? დაიშალენით! ჩვენ ხომ გვიყვარს ერთმანეთი ხომ ასეა მეგობრებო? აი ამით ვართ ძლიერნი და შეურყეველნი ბრძოლისათვის დრო ბევრი გვაქვს... მაგრამ დღეს კი მე მაინც ციხეში დავბრუნდები.

ფერარი – თქვენო უწმინდესობავ საქმე უფრო მწვავდება... თქვენ სახლს ცეცხლის მოკიდებას უპირებენ...

მონტ. – რაო?

კაპიტ. – მე თან რაზმი მახლავს გვიბრძანეთ ვესროლოთ და ხალხიც დაიფანტება.

მონტ. – ესროლეთ, მხოლოდ არავინ არ იმსხვერპლოთ.

რივარეს – როგორ ნებას აძლევთ უიარაღო ხალხს ესროლონ? შეუძლებელია...არა თქვენ ამას არ იზამთ.

ფერარი – ერთი წუთის დაკარგვაც არ შეიძლება.

რივარეს – თქვენო უწმინდესობავ ნუ დაუშვებთ სისხლის ღვრას თქვენ ეს არ უნდა ჩაიდინოთ.

ფერარი – თქვენო უწმინდესობავ.

რივარეს – გაფიცებთ თქვენთვის ყველაზე ძვირფასს, ნუ დაეთანხმებით თქვენ ეს არ უნდა ჩაიდინოთ...

ფერარ – თქვენო უწმინდესობავ.

მონტ. – მოიცათ მე თვითონ მინდა ველაპარაკო...

ფერარ – კარდინალო გვიბრძანეთ სროლა, თორემ ყველანი დავიღუპებით.

მონტ. – ესროლეთ...

რივარეს – ა... ა... ა... სისხლი იღვრება, სისხლი ქალებისა... ბავშვების...უმანკო სისხლი.

მონტ. – შეჩერდით, სინიორ რივარეს თქვენ უცოდველი ხართ ამ საშინელ ამბავში თქვენ არ უნდა მოკვდეთ. მითხარით ერთი სიტყვა და....

რივარეს –უწმინდესო მონტანელი, როგორც იქნა ნიღაბი მოიხსენით. თქვენ პერცოგის ჯალათი ხართ ჩვენ გავათავებთ საუბარს სახრჩობელასთან...თქვენ მე გამომიწვევით ჯვარს სისხლში მოსვრილს ხელებით. მე კი მაშინ მაგ სახეში მოგაფურთხებთ.

ფ ა რ დ ა.

## სურათი მე-6-ე

/ხრიოკი ადგილი ციხის კედელთან/

ზოლა – რაც მომივა, მომივიდეს მეტი ლოდინი არ შემიძლიან როგორმე მივცოცდები ციხის ჭიშკრამდე.

მარტინი – მოითმინეთ...მოითმინეთ...ამით ვერაფერს უშველით მხოლოდ საცაა დაბრუნდება ჟოლი და ყველაფერს გავიგებთ.

ზოლა – ასე მგონია მთელმა საუკუნემ განვლო-უკვე აღარაფრის იმედი არა მაქვს არ მესმის რა უნდა მომხდარიყო იქ.

მარტინი – ვინ იცის, უმჯობესია ვიფიქროთ რომ ყველაფერი რიგზეა

ზოლა – საკვირველია, ნუ თუ ვინმემ უღალატა, რომ აქამდე არა ჩანს ვაი, თუ ხელსაწყოს გადაცემა ვერ მოხერხდა. რითაც მას სარკმელის რკინის ხარიხა უნდა გადაექლიბა.

მარტინი – წერილი და ხელსაწყო, რომ მიღებული აქვს მე ამაში ეჭვი არ მეპარება. ორივე პურის გულში იყო ჩატანებული თუმცა პირ-ველად თურმე უარზე იდგა პურის მიღებაზედ და როცა მიქელე აღარ მოეშვა, მხოლოდ მაშინ მიხვდა საქმის ვითარებას.

ზოლა – ყველაფერი დაწვრილებით რათ არ გამოჰკითხა?

მარტინი – კარებში ზედამხედველი იდგა.

ზოლა – რომელი საათი იქნება?

მარტინი – ოთხის ოცი წუთია.

ზოლა – ღმერთო ჩემო, მალე კიდეც გათენდება და ყველაფერი დაიღუპება.

მარტინი – ვერ გამიგია აქამდე რად იგვიანებს.

ზოლა – იქნებ ავადმყოფობის გამო გული შეუღონდა, მაშინ ხომ ქლიბვას ვეღარ შესძლებდა, მისი დაგვიანების მიზეზიც ეს იქნება.

მარტინი – თქვენი შიში უსაფუძვლოა, რომელიც საქმეს სრულიადაც ვერ შველის გულის სუნთქვამ თუ მიაყარა.

ზოლა – მაშინ?

მარტინი – ლოდინის მეტი არა დაგვრჩენია და ვნახოთ ჯალი რა ამბავს მოიტანს.

ბილლა – ვესმით, ეს ცხენები დაგვღუპავენ.

მარტინი – მარტოლაც ძალიან ახლოს ამოვიყვანეთ...თქვენი მარტო ლაფოვება მეშინიან...ჯალი მოვა და ხელში ჩაიგდებს.

ბილლა – ჩვარჩე...მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან,კარებამდე მივალ მე უნდა გავიგო.

მარტინი – ვერაფერს ვერ გაიგებთ და შესაძლოა ციხის მცველს წააწყდეთ,რითაც მთელს საქმეს დაღუპავთ.

ბილლა – ჯალი.

მარტინი – ჯაალი,ძლივს.

ჯალი – ს-ს-ს ღვთის გულისათვის ჩუმად აქედან 20 ნაბიჯზე მცველი დგას.

ბილლა – აბა,რა ამბავია? აქედან რათ იგვიანებს?

ჯალი – ხარიხას ქლიბავს.ქლიბის ხმა ალაყაფის კარებს აღწევს.

ბილლა – ალაყაფი?...ალაყაფი ხომ...

ჯაალი – ალაყაფის კარები ღიაა.ყველაფერი რიგზეა...ეტყობა იღლება და დროგამოშვებით დიდხანს ისვენებს.

მარტინი – კი,მაგრამ...მცველი ქლიბვის ხმა,რომ გაიგონოსმაშინ.

ჯალი – შეუძლებელია,რომ არ ესმოდეს...საკვირველი ის არის,რომ ის მაინც არხეინად განაგრძობს წინ და უკან სიარულს. მინდოდა მოკვლა მაგრამ ვიფიქრე იქნება ჩვენი მომხრეა მეთქი და თავი შევიკავე.

მარტინი – ადვილი შესაძლებელია წინააღმდეგ შემთხვევაში გაგვაფრთხილე-ბდნენ.

ჯალი – ჩუ...ფეხის ხმა.

მარტინი – ციხის მცველი.

ჯალი – გავიქცეთ.

მარტინი არავითარ შემთხვევაში ხიდის ქვეშ დავიმალოთ

მარტინი – საკვირველია როგორ ვერ შეგვამჩნიეს მარილა.ტალი ცხენები ხევში ჩავიყვანოთ,თორემ აქ ხელს შეგვიშლიან

ტალი – თქვენც მომეხმარეთ თორემ მარტო მე ორ ცხენს როგორ მოვუვლი.

მარტინი – ჯემმა მარტო დავტოვოთ?

ბილა – ჩემზედ ნუ ზრუნავთ,არა მიშავს,წადით რა და მალე დაბრუნდით

ტალი – ჩვენ ეხლავე დავბრუნდებით აბა წავიდეთ.

ბილა – რივარეს...რივარეს...თქვენი დაგვიანება ისე გვაღელვებდა

რივარეს – სულ ერთია ყველაფერი დაღუპულია ამის იქით ნაბიჯის გადადგმაც კი არ შემიძლიან .ო...ო...ო...

ბილა – რა გტკივა?

რივარეს – გულის ხუთვა...ჯოჯოხეთური წამება...ტკივილები...

ბილა – ღვთის გულისათვის რივარეს უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბეთ ცხენებიც აქვეა.

რივარეს ა...რ...შემიძლიან,ტკივილები სულს მიხუთავს.

ბილა – რივარეს,რივარეს...კიდევ ერთი ნაბიჯი...იქ მარტინი დაგვიხვდება ხელზე აყვანილი წაგიყვანთ.

რივარეს –არ არ შემიძლიან ჯემმა წადით...მე არ მინდა ჩემს წამებას უცქიროთ...ო...ო...როგორ მაწამებენ ტკივილები.

ბილა – რივარეს,კიდევ ერთი ნაბიჯი და თავისუფალი შეიქმნებით

რივარეს – რა არის ეს?...ჩეცას სისხლი სდის...ჩეცა სისხლიდან იცლება.

მარტინი – ციხეში დიდი აურზაურია...მეტი ცდა არ შეიძლება...რივარეს

ბილა – უშველეთ...გადაარჩინეთ...მალე...მალე.

რივარეს – დამტოვეთ...არ მინდა...მტკივა...მტკივა...

ბილა –მარტინი...ოო. ღვთის გულისათვის ცხენები ხომ ახლოა.

პოლა. – ფერან შესდექით, კიდევ ერთი ნაბიჯი და აქვე მოგკლავთ
ბოლოს.

მაჩვიჩი – ვიცი.

ბოლოა – ჩეჩარე–რეჯარცუს!

ფუნარი – ჩაუდაჩეთ ბორჩვილები და კოჩვის ბნელ საკანში დიკით
მიაბით ფარჩშეჩეშე დაუკარჩყავ მაგას ტაძრების ხალიბს.

ბოლოა – არჩუჩ, მართალია არჩუჩ, შეცილან სისხლი ილვრება ჩვეული
ილის იცი....ჩვეული ილავთ ფუჩან ჯალათებს.

ფარდა

მეIV–მოქ.მედის 30 წუთი.

მეშვი დე სურათი

სერჟანტი — ეხლავე სკამს მოგართმევთ გვაპატიეთ თქვენო უწმინდესობავ არ მოგველოდით, თორემ ყველაფერს დავამზადებდით.

მონტ. — არავითარი სამზადისი არ იყო საჭირო. ეხლა კეთილ-ინებეთ და ტუსაღთან მარტო დამტოვეთ.

სერჟ — მესმის თქვენო უწმინდესობავ

მონტ. — მგონი სძინავს.

რივარეს — არა მძინავს.

მონტ. — ეს ვინ ჩაიდინა?

სერჟ. — პოლკოვნიკმა გვიბრძანა თქვენო უწმინდესობავ.

მონტ. — როდის გასცა ასეთი ბრძანება პოლკოვნიკმა სერჟანტ?

სერჟ — მაშინ, როდესაც გაქცევა დააპირა თქვენო უწმინდესობავ

მონტ. — ე.ი. ამ ერთი კვირის წინად მოიტანეთ ეხლავე დანა და ფოკები დასჭრით.

სერჟ — მაპატიეთ თქვენო უწმინდესობავ ბატონ ექიმსაც უნდოდა მოეხსნა მაგრამ...

მონტ. — მოიტანეთ ეხლავე დანა და დასჭრით მომეცით მე... მოხსენით ბორკილები ერთი ეს მითხარით საზოგადოთ პატიმართა საწამებლად ასეთი ზომები გაქვთ შემოღებული.

სერჟანტი — მე დიდი ხანი არ არის რაც აქ ვმსახურობ, თქვენო უწმინდე-სობავმხოლოდ ის შემიძლიან მოგახსენოთ, რომ პოლკოვნიკი ფერარი განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობა რივარეს.

მონტ. — გაქცევას, რომ აპირებდა მას გულის სუნთქვა მოსვლია მას შემდეგ საშინელი ტანჯვა გამოუვლია.

სერჟ. — წარმოიდგინეთ, ექიმმა, მითხრა, რომ მას ტანჯვა წამება ჯერ არ უნახავს გარდა ამისა რამდენჯერმე სცადა მისთვის მიეცა ხაშხაში, მაგრამ შოლკოვნიკმა ამის ნება არ დართო.

მონტ. თქვენი პოლკოვნიკი...ბილი,რომელიც მასთან ერთად იყო
დაპატიმრებული... იმასაც ასევე სასტიკად ეპყრობოდნენ?

სერჟ. – დიახ, მაგრამ უფრო იმისათვის სურდათ ,ფსიქოლოგიურ
ტერორიდან იყვნენ.ერთ ხანს სულ ჩივოდნენ ჯარისკაცებს,მაგრამ
ამ ბოლო ხანებში არც ხმას იღებს და არც საჭმელს ეკარება,
ჩუმად არის...შეიძლება კაცმა იფიქროს,რომ ქვეყნიდან წასულა
მე მგონია ეხლა პოლკოვნიკის სიკვდილს სულიერად უძლებდა.

მონტ. –უბედური რამდენი წამება.

სერჟ. დარწმუნებული ვარ,რომ საუბარი ჩვენს შორის დარჩება წინააღმდეგ
შემთხვევაში მე მომელის...

მონტ. – ნუ გეშინიათ პატიოსანო ჩვენს საქმეში ხელი არავინ
შეუშალოს.

სერჟ. – მესმის თქვენო უწმინდესობავ.

მონტ. – შეიძლება თუ არა ძალიან მოკლედ დალაპარაკება,სინიორ რივარეს

რივარეს – რათ მოხვედით თუ თქვენის მხრივ ეს მხოლოდ სამოწყალეობით
აღსავსე ქრისტიანული კათოლიციზმია.შეგიძლიათ უკან
წაბრძანდეთ.

მონტ. – მე მოვედი,რადგან თქვენი დახმარება მჭირდება.

რივარეს – ჩ-ჩემი დახმარება? თქვენო უწმინდესობავ არაფერს ვუფიქრობ.

მონტ. – არა,ალბათ გაგიგიათ პოლკოვნიკი ფერარი კატეგორიულად მოითხოვს
თქვენს სამხედრო სასამართლოში გადაცემას,ვინაიდან ხვალ
დღესასწაულზე ქალაქში მლოცველები ჩამოვლენ თქვენის მიზეზით
შეიძლება ამბოხება მოხდეს,რაც აუცილებლად სისხლის ღვრას
გამოიწვევს.პოლკოვნიკმა შემომთვალა,რომ თუ თქვენი გასამართლება
დღესასწაულზე ადრე დამთავრდა იმ შემთხვევაში უდანაშაულო სისხლის
ღვრას ადგილი არ ექნება.ხვალ სხეულის და სისხლის დღესასწაუ-
ლია.

რივარეს – აი, საქმე რაში ყოფილა.

მონტ. – ჩემს თვალებს ძილი და მოსვენება არ უკარება ახლა კი
საბოლოოდ გადავწყვიტე.

რივარეს – ჩემი სიკვდილით უდანაშაულო ხალხის სიცოცხლეს დაცვა არა.

მონტ. არა მე მოვედი თქვენთან, რომ გითხრათ შემდეგი: სასამართლოს სხდომა-
ჯერ არ შემდგარა, მისი შეჩერება კიდევ შესაძლოა და გაფიცებთ
სინდისის ქვეშ მითხარით თქვენ, რომ ჩემს ადგილას ყოფილიყავით
როგორ მოიქცეოდით.

რივარეს – ყოველ შემთხვევაში მე თვითონვე გადავწყვიტე და პასუხისმგე-
ბლობასაც თვითვე ვიკისრებდი ცბიერად და მზაკვრულად სხვის
ზურგის უკან ამოფარებას ჩემს თავს არ ვაკადრებდი განა
საკმაოდ მძიმე არ არის ჩემი მდგომარეობა რომ აწ პასუხის-
მგებლობისათვისაც არ დამძიმოთ იგი? და თქვენ კიდევ სიმკაცრეზე
და შებრალებაზედ ლაპარაკობთ? განა პოლკოვნიკ ფერარის.თავისი
უსუსური ჭკუით შეეძლო ასეთი წამების გამოგონება?კარგით ინებეთ
და თქვენვე მოაწერეთ ხელი საკუთარ სიკვდილზე განაჩენს მე
იმდენად გულჩვილი ვარ, რომ ამას ვერ ჩავიდენ.თო, ასეთი ამბის
გაგონება, მხოლოდ მღვდელს შეუძლიან ისეთ წყნარსა და გულკეთილ
მღვდელს, რომელსაც სხეულზე მაგრად შემოჭერილი თოკების
დანახვაზე ფერი ეცვლება ხოლმე არ ესმის, რად აგვიანებთ მიეცით
თქვენი დასტური, მიბრძანდეთ სახლში და დამშვიდებული სადილს
შეუდექით.

მონტ. – ჩემს სიცოცხლეში არც ერთ სულიერის მიმართ ასეთი
სიმკაცრე არ ჩამიდენია.

რივარეს – ტყუილია,"არტურ დღეს ვატიკანიდან წერილი მივიღე მე
ბრაზილიას ეპისკოპოსად ვარ დანიშნული

მონტ. – ბრაზილიას ეპისკოპოსად?-არტურ.

რივარეს – უკვე დაგავიწყდათ? თქვენთვის ეს ადგილი დასავიწყებელი ყოფილა, "თუ შენ ისურვებ არტურ,უარს შევთვლი წასვლაზე" მე-18 წლის ჭაბუკს თქვენს მაგიერ უნდა გადამეწყვიტა თქვენი ბედი.

მონტ. – შვილო არტურ.

რივარეს – მამა! ნუ თუ ეხლაც მიცანით? რა კარგია თქვენ მიყვარხართ. ჩვენ ერთად ვართ...

მონტ. – არტურ ჩემო შვილო ჩემო ბავშვო...როგორ საშინლად გამოცვლილხარ...რამდენჯერ დამსიზმრებია თითქოს შენ დამიბრუნდი გავიღვიძებდი და ისევ მარტო ვიყავი...

რივარეს – თქვენ სიზმარში მხედავდით? მეც მესიზმრებოდით იყო მაშინ. როდესაც მაღაროებში ვმუშაობდი მაშინაც ამავე ავადმყოფობით ვიტანჯებოდი როგორც ეხლა მთელი დღე მცხუნვარე მზის ქვეშ ქვებს ვეზიდებოდი.ერთ ღამეს ბოდვამ შემიპყრო,მე ნათლად დავინახე,თუ როგორ გააღეთ კარი და შემოხვედით...ხელში ჯვარცმა გეჭირათ,თქვენ ლოცულობდით და გვერდზე ისე გამიარეთ, რომ არც კი შემომხედეთ მე დავიყვირე:"მამა,მომეხმარე,მომეცით დანა ან საწამლავი და ჩემს წამებას ბოლო მოუღეთ მეთქი" თქვენ არც კი შემომხედეთ და ისევ განაგრძობდით ლოცვას, მხოლოდ ლოცვის დათავებისას ჩურჩულით სთქვით:"ძალიან მებრალები,არტურ,მაგრამ ამის გამხელას ვერ ვბედავ". მაშინ მივხვდი,რომ თქვენთვის უფრო საამაგო ზეცასთან კეთილ-განწყობილებაში ყოფნა,ვიდრე ჩემი ტანჯვის გაზიარება მე ეს სამუდამოდ დამამახსოვრდა მხოლოდ ამ წუთში დამავიწყდა მაგრამ არა ჩვენს შორის მხოლოდ ომი უნდა არსებობდეს.ვიდრე თქვენ ძალა შეგრჩენიათ,მანამდე ჩვენ ერთმანეთის მტრები დავრჩებით.

მონტ. – ჩემო არტურ...რატომ არ უნდა ვიწამო,რომელსაც შენი თავი ღმერთმა დამიბრუნა.

რივარეს – ღმერთმა? ერთ დროს მე ვიცავი სიცოცხლით და ამქვეყნით აღსავსე ჭაბუკი ვიყავ კი საშველი ვარ შენზედ კიდევ ბედავთ ჩემთან თქვენი ღმერთის სათნოებაზე ლაპარაკს 14-წლის წინათ,თითქმის ბავშვს მე მწამდა თქვენსავით მთელი ჩემი მონება და ფიქრი ზეციერთა იყო მიმართული.მაგრამ დადგა დრო,როდესაც ჩემს კერპებს,ცხოვრებამ მაგრა დაუკაკუნა და ეს ბავშვური სულელური გატაცება კვამლივით მიმიტრიალდა ორმა ღვთის მსახურმა ამიხილა თვალები.ერთმა აღსარების დროს საიდუმლო გამომძლევა და პოლიციაში დამასმინა–მეორემ მამაჩემმა დედა მომიკლა...მე კი ტანჯვისა და წამების შორეთში გადამისროლა.

მონტ. – ჩემო არტურ,შენი მოხუცი მამა,შენს წინაშე მუხლს ვიდრეკ... თუ გინდა მომკალი,მხოლოდ ღვთის დაცინვით სულს ნუ წაიწყმენდ.

რივარეს – მამა...მ...მასწავლე თუ როგორ განვდევნოთ ის ბუჩქი, რომლითაც მთელი შენი არსება არის გაჟღენთილი თქვენ ჩემს ფეხებთან ხოხავთ,სუნთქავთ აქაურ მტვერს,და თქვენს თავს ბოროტმოქმედს უწოდებთ... და მაინც ღმერთის სიყვარულის გ გამო მოჰკალით დედაჩემი და იმავე რწმენით მზად იყავით ჩემთვის ბოლო მოგეღოთ ახლა. სადაა დასასრული იმ სისხლის ნაკადულისა,რომელსაც ღმერთი თქვენის ხელებისა ჰღვრის?

მონტ. – შვილო,გაჩუმდი,შემიბრალე...მთელი ჩემი სიცოცხლე ღვთის მსახურებაში გამიტარებია...ნუ წამართმევ მისდამი რწმენას.

რივარეს – თუ მთელი სიცოცხლე მონობაში გაატარეთ,მაშინ ახალი ღმერთი მაინც გამოიგონეთ.თქვენი ძველი ღმერთი სულ მთლიანად მოსვრილია ადამიანის სისხლით... და თქვენი მისდამი ვედრება მოწყალებას ვერ მოგანიჭებთ.

მონტ. – შვილო არტურ,შემიბრალე შენი მოხუცი მამა. მე შენ
გიპოვნე...ამ ხნის განმავლობაში ყოველ ღამე კი იგივე
საშინელ სიზმარს ვხედავდი.მე მოსვენება როდი.მინდოდა
დავმალულიყავ მაგრამ ყველა ო.ო.არტურ ჩემო
შვილო შემიბრალე.

რივარეს – მამა... ჩვენ! შორის უფრო უფსკრულია,თუ თქვენ
არ შეგწევთ ძალა უარჰყოთ თქვენი სარწმუნოება,მაშინ
პოლკოვნიკის წინადადებას დასტური უნდა მისცეთ.

მონტ. – დასტური მივცე? ღმერთო ჩემო... მაგრამ შენ? შენ ხომ
მიყვარხარ.

რივარეს – რომელი უფრო გიყვართ?

მონტ. – არტურ,ნუ თუ სრულებით არ გებრალებით?

რივარეს – რომელი უფრო გიყვართ? მე თუ სარწმუნოება.ნუ თუ
იესო ქრისტე უფრო იტანჯა თქვენთვის ჩემზედ მეტად რომ
გიყვართ? აი,შეხედეთ,ის მხოლოდ ექვსი საათი იყო ჯვარზედ
მილურსმული და როგორც თქვენ გწამთ აღსდგა მე კი ხუთი წლის
განმავლობაში მაკრავდნენ ჯვართ და მეც ხომ აღვსდექი
მკვდრეთით და ახლა მინდათ ხელმეორედ გამგზავნოთ საწამებლად?

მონტ. – შენს მეგობრებს შევატყობინებ და ჩემის შემწეობით გაგაპარე-
ბენ.

რივარეს – მღვდლისაგან დახმარებას არ მივიღებ უნდა უარჰყო თქვენი
სასულიერო ხარისხი ან არა და დაადასტუროთ ჩემი დახვრეტა.

მონტ. – როგორ? როგორ შემიძლიან უარვყო შენ?

რივარეს – მაშ უარჰყავ სარწმუნოება ორში ერთი ან მე ან იგი
განშორდით საუკუნოებით გამოფიტულ და ჩახრწნილ ეკლესიას.
მას ლეშის სუნი ასდის...ჩვენთან კი სიცოცხლე გაზაფხული-
კაცობრიობის ბედნიერი მომავალი მაგრამ თქვენ ყოველთვის
მიყვარდით ,მაშინაც კი როცა დილს მიმზადებდით ნუთუ
ხელმეორედ კიდევ გამწირავ სასიკვდილოთ?!

მონტ. – ღმერთო შენ იყავ ჩემი შემწე,ჩემი მფარველი.არტურ
შეილო ერთი სიტყვა მაინც მითხარი,რამე ნუგეში მაინც
მომეცი.

რივარეს – ამაზე მეტი სათქმელი არა დამრჩენია რა ტყუილს ვერ
გეტყვი.სიცოცხლე მხოლოდ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლისა-
თვის მსურს,თუ არ შეგიძლიათ უარჰყავით იგი-მომკალით.

მონტ – ღმერთო...ისმინე ჩემი!! ვედრება.

რივარეს – ხა,ხა,უფრო ძლიერად ,უფრო ხმამაღლა შესძახეთ,
თორემ თქვენს ღმერთს არ ესმის კარდინალი მონტანელი!

მონტ. – არტურ უნაყოფოა შენთან კამათი.

რივარეს – წადით? გამშორდით არა ამას ვერ გადავიტან მამა,
დაბრუნდით.აღსრულდა შენ,შენ გაიმარჯვე გალილეველო?

ფ ა რ დ ა

სერჟანტი – ექიმო, კარგია რომ ყველაზე ადრე მოხვედით. თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვს.

ექიმი – რა იყო

სარჟანტი – პირველად მიხდება სიკვდილის დასჯაზე დასწრება წუხელ თვალიც არ მომიხუჭავს.ეხლაც ვერავარ დაწყნარებული ასე მგონია გული ბუდიდან ამოვარდება.მიშველეთ.

ე ქ ი მ ი – ჩემო მეგობარო...ამ დახმარების საშუალებას მოკლებული ვარ.მართალია ასეთ ამბებს ჩვეული ვარ მაგრამ ამ შემთხვევაში ვერას გიშველი.ამისათვის საჭიროა ხელახლა დაბადება.

სერჟანტი –შეიძლება ესეც იყოს.თუმცა მე რომ დარწმუნებული ვიყო იმ ადამიანის სიავკაცეში,რომელსაც დღეს სიკვდილის უმზადებენ....

ე ქ ი მ ი – როგორ, ნუ თუ რივარესს თქვენა სთვლით....

სერჟანტი – არა,ნუ გგონიათ,რომ მისი თანამოაზრე ვიყო.

ე ქ ი მ ი – თუნდა ასეც იყოს. ნუ გეშინიანთ,მე ჯაშუში არა ვარ.

სერჟანტი – ნეტა რა ჩაიდინა ისეთი,იგი იბრძოდა ეკლესიისა და ავსტრიელების წინააღმდეგ,რომელნიც ასე დაუპატიჟებლად გვეწვივნენ.

ე ქ ი მ ი – რაღა თქმა უნდა იშვიათი ადამიანია.მე საერთოდ ადვილად არაფერი მიტაცებს,მაგრამ რივარეს...სულთვალწინ მიდგას ვერაფრით ვერ წარმომიდგენია რომ ეხლა ის ჩვენ თვალწინ უნდა დაიხვრიტოს.

სერჟანტი – თქვენ ვერ წარმოიდგენთ ბატ.ექიმო,თუ როგორ უყვართ იგი ჯარისკაცებს.მიუხედავად სიკვდილით დამუქრებისა დღეს ორმა გუნდმა უარი განაცხადა იმის დახვრეტაზე.

ე ქ ი მ ი – თქვენ ამბობთ,რომ ჯარისკაცებმა სროლაზე უარი განაცხადეს.მაშ,როგორ იქნება.

სერჟანტი – დიდის მუქარით რამოდენიმე ახალგაზრდა ჯარისკაცი ამოირჩიეს.გარდა ამისა ყოველ შემთხვევისათვის პოლკოვნიკმა ბრძანება გასცა ჟანდარმების ერთი რაზმი გამოეძახათ.

ე ქ ი მ ი – თუ კი ჟანდარმები ასეთი საიმედონი არიან,რატომ მათ არ დაავალეს რეკრუტების დაჭერა.

სერჟანტი – მაგაზე ლაპარაკი კი ზედმეტია,საომარი წესების მიხედვით ეს ყოვლად დაუშვებელია.

ე ქ ი მ ი – უფრო ჯარისკაცების დაჭერა კი დასაშვებია.

სერჟანტი – ბატ.ექიმო,გეფიცებით,რომ ეს ჩემი სამსახურის უკანასკნელი დღეა.

ფერარი – სერჟანტ,ხომ ფელდფებელი მზადაა გაქვთ.სიჩქარე გმართებს. არა უგვიანეს ნახევარი საათისა ჯარითა და ხალხით ხალხი გამოვა დღესასწაულზე მისულებს თავის სიტყვით არ გაუმასპინძლებით მზა არის ფელდფებელი.ძალიან ვწუხვარ მამათ,რომ ბილაპრიან გაგსახეთ.ამასთანავე ვშიშობ,რომ თქვენი აქ დარჩენა ზედმეტი არ გამოდგეს.პატიმარი ხომ სრულებით უწმუნოა.

მღვდელი – გამიგონია,მაგრამ შეიძლება სიკვდილის ჟამს...

ფერარი – არა მგონია,სიტყვამ მოიტანა და გეტყვით,რომ კარდინალმა თავისი ქრისტიანობით ზედმეტი საქმე გაგვიჩინა.თავის დასწრებ დღესასწაულამდე აგვიანებს:სანამ ფელდფებელს მოვიწვევდე გული მიწუხს...ბატონო კაპიტანო.

ფერარი – დარწმუნებული ვარ,ბატონო პოლკოვნიკო. ასეთი თუ რამეინაა მძიმე პასუხისმგებლობა გაწევთ. თუ ჯარისკაცები შეუდრკელად მოიქცევიან,უბრძანეთ თქვენს ჟანდარმებს,რომ ძალადობით ამოხოცონ.წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება საქმე მეტად გართულდეს ხომ გესმით...

ფერარი – პატიმარი რატომ არ მოგყავთ.

კაპიტანი – ჟანდარმები და პატიმარი ჩვენს უკან მოდიან

დერარი – შეუდექით.

სერჟანტი – ბატონო ექიმო,რივარესის სახელზე მე წერილი მაქვს.

ე ქ ი მ ი – რატომ ადრევე არ მითხარით....გადავცემდი მომეცით.

დერარი – სინიორ რივარეს,ხომ არაფერი გაქვთ გადასაცემი თქვენი მეგობრების ან ნათესავებისათვის.საერთოდ ხომ არაფერს ისურვებთ.

რივარეს – უბრძანეთ რომ ხელები გამიხსნან და თვალებს ნუ ამიხვევენ მე შვიდად გავჩერდები.

დერერი – გაუხსენით ხელები.

ექიმი – აი წერილი წაიკითხეთ...მე ჩამოგეფარებით.

რივარეს – "ჩემო არტურ მაპატიე თუ არა,მე თან საწამლავი მაქვს მეც შენთან ერთად მოვკვდები. ჯემმა."ჩემო ძვირფასო,მე ეს ვიცოდი გ...მადლობთ ექიმო

დერარი – კაპიტანო შეუდექით.

რივარეს – ნუ სწუხართ სერჟანტო სად დავდგე? მე მგონი აქ. გამარჯობათ ძმებო.ასე ნაღვლიანად რად გამოიყურებით.გას-წორდით და დაგვანახეთ,როგორ შეგიძლიათ ნიშანში ამოღება მაღ იმდენი სამუშაო გექნებათ,რომ ვერც კი აუხვალთ ეს ჯერ მხოლოდ ვარჯიშობაა.

მღვდელი – შვილო ჩემო,რამოდენიმე წუთის შემდეგ თქვენ წარსდგებით უფროსის წინაშე,ნუ დაჰკარგავთ დროს.იფიქრეთ თუ რა საშინელია ცოდვებით სავსე გულით სიკვდილი.ნუთუ უფლის წინ ხუმრობისა და ღიმილით წარსდგებით.

რივარეს – ხუმრობით... ეგ თქვენი ხელობაა იმასხროთ და ასულელოთ ხალხი,როცა ჩვენი ჯერი მოვა სამი წყვილი დაჟანგებული თოფების მაგივრად ზარბაზნებს დაგიშენთ,მაშინ დაინახავთ ვხუმრობთ თუ არა.

მღვდელი = თქვენ ბარბაზნებს გამუშავებთ,უწყლოდ თუ არ გესმით რომ უფსკრულის პირას სდგახართ.

რივარეს = და თქვენ გგონიათ,რომ ჩვენი სამარეში ჩამვეწით სამუდამოდ განთავისუფლდებით.

ქვაი,რომ დამალოთ უფრო დამშვიდებული ვიქნები,რადგანაც თავში მაგრამ ბარბაზნებს მაინც დაგიშვებთ.

ტერარი – დაიწყეთ.

მღვდელი – ო,ყოვლად მოწყალეო მეუფეო,შეუნდე ცოდვილს.

ტერარ – ამინ.

რივარეს – აბა,მეგობრებო,მე მზად ვარ.

კაპიტანი – სმე.ა,მოემზადეთ,ნიშანში ესროლეთ.

ტერარ – ბრძანება არ გესმით ნიშანში .

რივარეს – კარგად ვერ დამიმიზნეთ აბა,კიდევ სცადეთ. მე მზადა ვარ.

ახ.ჯარ.კაცი – არ შემიძლიან არ შემიძლიან,მომკალით...ის კეთილია...არ შემიძლიან.

კაპიტანი – პირუტყვებო,ადექი.მე დასწავლი მწყრივიდან გამოსვლას.

ახ.ჯარ.კაცი– არ შემიძლიან...მე მომკალით...არ შემიძლიან..

ტერარი – დაათრიეთ.

კაპიტანი – სწორედ,ნიშანში ესროლეთ.

ტერარი – არამზადებო

რივარეს – ახ ბატონო ტერარ კარგათ,ვერ გაგიწვრთნიათ თქვენი ჯარის-კაცები,აბა მე შემიძლიან თუ არა ხელმძღვანელობა აბა ძმებო ასწიეთ თოფები და გულში დამიმიზნეთ აი მე მზადა ვარ

ტერარი –მეტად ხომ არ იცოცხლებ.

რივარეს – ესეც შენ მტარვალო კიდევ-კიდევ ძმებო

კაპიტანი – ნიშანში ესროლეთ.

მონტ. – შვილო არტურ...მე მოვიჩქაროდი...მინდოდა მეთქვა,რომ მოვინანიე...შენ მართალი იყავი ჩემო არტურ,ზეცა გამოფიტულია...აქ არ არის კაცთმოყვარეობა შვილო არტურ. არტურ! არტურ!
ღმერთო სადა ხარ ხედავ ამ
უბედურს.
აქ აქ ხარ, შენ ხედავ!